სახალხო გაზეთი

№ 782 კვირა, 23 დეკემბერი 1912 წ. № 782

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

წელიწადი მეოთხე

,,სახალხო გაზეთზე''

წელიწადი მეოთხე

ყოველდღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება ,,სურათებიანი დამატება'' (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ წიგნს

1) უცხოეთის მწერლები. (400 გვ.) 2) ქართველი მწერლები. (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წელიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ. 50 კ. 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა. **ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 ქრისტიშობისთვიდან კი ღია იქნება: დილ. 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღ. 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად აზნაურთა ქარვასლა. 3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

გამოვიდა გასასყიდად ახალი

პაპიროსები ,,მაიაკ''

25 ც.—15 კ.—6 10 ც. 6 კ

,,კომეტას'' ამხ-ბა.
ქ. ტფილისი.
1574

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

კნეინა სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილისა, კნეინა სოფიო ივანეს ასული ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ეკატერინე ალექსანდრეს ასული კრივეცკისა, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული რჩეულიშვილისა მეუღლით, თ. ივანე ალექსანდრეს ძე მეუღლით და თ. გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა 18 დეკ. ს. ხოვლეში პირველთა ძვირფასი მეუღლე და ძმა ხოლო დანარჩენთა ძვირფასი მამა

თ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი

დაკრძალვა 23 დეკ. ს. ხოვლეში. 880

შაბათს, 29 დეკემბერს, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულ

დავით (დათა) ნიკოლოზის ძე ბურჭულაძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ-დამწვარნი: მეუღლე **ნატალია გარსევანის ასული,** მშობლები **თინათინ** და **ნიკოლოზი** და **ძმა გიორგი ბურჭულაძენი,** სიდედრი და სიმამრი **ნინო** და **გარსევან კურდღელაშვილები.** წირვა დაიწყება ათ საათზე თელავის საკრებულო ტაძარში, ხოლო პანაშვიდი თორმეტის ნახევარზე განსვენებულის საფლავზე ქ. თელავში. 1653

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

კვირას, 23 დეკ., 1912 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმ. იქნება: ცნობილი ისტორიული პიესა **სამეგრელოს მთავარი ლევან.** დრამა 5 მოქ. ვას ყიფიანისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი. მატარაძე, მგალობლიშვილი, ყივიძე, სარაული, ციციშვილი. შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ოთხშ., 26 დეკ., წარ. იქნება. დილით ,,გამცემელი'', საღ. ,,ანტიგონე''

1 23 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართ. დრ. საზ. ადმინ.

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება;

საღამოთი **ოთხშაბათს, 26 დეკემბ.,** **საღამოთი**

ცნობილი ტრაღედია სოფოკლესი **ანტიგონე** თარგ. ბერძნულით გ. გვაზავას მიერ.

მუსიკა, ხოროსა და ორკესტრისათვის ფელიქს მენდელსონ-ბერტოლდისა. იმღერებს **მომღერალთა გუნდი პ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. **დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი.**

ადგ. ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8 ს.** რეჟ. **ვ. შალიკაშვილი.**

დილით **ხუთშაბათს, 27 დეკემ.,** წარმოდგენილი იქნება **დილით**

ვასო აბაშიძის მონაწილეობით **ძალა აღმართსა ხნავს,** მხიარული კომედია 4 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

ადგ. ფასი დაკლებ. **დასაწყ. შუადღ. 12 ს.** რეჟ. **ვ. შალიკაშვილი.**

საღამოთი ხუთშაბ., **27 დეკემბ.,** 1912 წ. **საღამოთი**

ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ჰენრი სენკევიჩის** სახელ-განთქმულ რომანიდან სობოლშჩიკოვ-სამარინის მიერ გადმოკეთებული ცნობილი პიესა **ვიდრე ხვალ, უფალო!** დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თარგ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ყივიძე, ციციშვილი, შალიკაშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1623 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ადმინ. ქართ. დრ. საზ.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.

ხუთშაბ., 27 დეკ., 1912 წ., ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ **ქ-ნ ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმ. იქნება ნ. შიუკაშვილის 5 მ. დრამა **სიმახინჯე.**

მონაწილეობენ ქ-ნნი: ასათიანი, ეფ. მესხი, პიერატა, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: ვ. განჯელი, ილ. ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, გ. ფრონისპირელი, მ. ქიაურელი და ნ. ჭანკვეტაძე. ◆ ადგ. ფასი 5—50 კ **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1627 რეჟის. **ალ. წუწუნავა.** ,,წრის'' ადმინ. ანონსი: შემდეგი წარ. 2 იან.

სახალხო **ავლაბრის სახალხო თეატრი** **წარმ. № 19.**

კვირას, 23 ქრისტეშ.

პირველი გასტროლი ქართული თეატრის დამსახურებულ მსახიობთა
ქ. ეფემია მესხისა და დ. აწყურელისა

ავლაბ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწ. წარმ. იქნება:

ლალატი, დრამა-ლეგენდა 5 მოქ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი **ეფ. მესხი,** მარგველაშვილი, დავითაშვილი, საკოევი, ჟურული, ბ-ნნი. **აწყურელი,** ივანიძე, შანშიაშვილი, თავდგირიძე, კილოსანიძე, ქიზიყელი, სულთანიშვილი, სალაყაია, მაისურაძე და სხვ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასები 0·50 კ.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებ. ორკესტრი ბ. ბეთანიშვილის ხელმძღვანელობით

მორიგი გამგე **რ. ჯიბლაძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

ანონსი: ამ მოკლე ხანში **კოტე მესხის** მონაწ. წარ. იქნება ,,ხალხის მტერი''. 1636

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში

დღეს, საღამოს 8½ საათზე დანიშნულია ტფილისში **უკანასკნელი ლექცია პროფესორ**

გრედესკულისა:

„ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

ბილეთები იყიდება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე არტისტიულ საზოგ. კლუბის შვეიცართან, ხოლო საღამოს 7 საათიდან საკონცერტო დარბაზის შესავალთან. **შესავალი უმთავრეს კარიდან.** 1645

ქ. გორი.

გორის კლუბის დარბაზი.

შაბათს, 29 დეკემ.,

ტფ. ქართ. საამხ. მომღერალ-მგალობელთა გუნდი“.

(დაარსებული 1910 წ.)

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, გამართავს

ქართულ სახალხო კონცერტს

(გუნდის ფონდის გასაძლიერებლად).

25 კაცისაგან შემდგარი გუნდი, ახლად შეკერილ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი, 3 განყოფილებად შეასრულებს ხალხურ სიმღერებს სოფლის ცხოვრებიდან და აგრეთვე **ბ. რატილის** მიერ გადაღებულ ევროპიულ [illegible]. **ურმულს,—თ ჯანდიერი, ფანდურს,—ბ. გოძიაშვილი, ზამთარიოს,—ძმ. კავსაძენი** და სხვ. დაწვრილებით პროგრამებში. ◆ ბილეთების ფასი 40 კ. 2 მ. ბილეთ. იყიდება ბ. მაჭავარიანის სტამბაში და პ. არჩვაძის მაღაზიაში. **დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.**

885 გამგე **ნიკ. კავსაძე,** მორიგი წევრნი: **ნ. ჭრელაშვილი** და **ნ. ლეჟავა**

1 **იანვრიდან** **ტფილისში გამოვა ყოველ კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი**

სიმები

იუმორისტულ განყოფილებით, სურათებით და კარიკატურებით.

დაწვრილებით შემდეგ.

1654 **რედ.-გამომც. ნ. კურდღელაშვილი.**

?

1531.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 3—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისკ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 847

ტფილისის გუბერნიის წინამძღოლის

თანამდებობის აღმასრულებელი, აუწყებს გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ თავად-აზნაურთა

საგუბერნიო საგანგებო კრება

დანიშნული ქრისტიშობისთვის 23 საგუბერნიო და დუშეთის მაზრის წინამძღოლთა და გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატის ასარჩევად

გადადო 1913 წ.

13 იანვრისათვის.

1650

ბათუმში
გახსნილია განყოფილება კახელ მევენახეთა
საზოგადოება
,,კახეთი''-სა
1912 წლის 12 ნოემბრიდან.

საზოგადოება ,,კახეთი''-ს გამგეობა აუწყებს ამას ბბ. მყიდველებს, ქ. ბათუმში, ფოთში, სოხუმში, თეოდოსიაში, გაგრაში, ქობულეთში და სხვა, შავი ზღვის პირზე გაშენებულ ქალაქებსა და დაბებში, და სთხოვს მათ ღვინის დასაკვეთად მიმართონ **ბათუმის განყოფილებას.**

იყიდება მხოლოდ ნამდვილი კახური ღვინო საზოგადოების წევრთა ვენახებისა ბოთლი 30 კ.-დან 1 მანეთამდე.

მუდმივ და ერთბაშად მყიდველებს იაფად უთმობენ. პრეისკურანტები უსასყიდლოდ.

მისამართი: ბათომი, ოლღინის ქუჩა № 18, მიხეილის ქუჩის ახლოს, ტელეფონი № 190. 1648

რუსეთის საურთიერთო დამზღვევი კავშირი

დამტკიცებულია 1903 წელს—**მექარხნეთა და მეზავოდეთა.**

სრულიად გარდახდილი საპაიო თანხა 3 მილიონი მანათი.

დამზღვევი კავშირი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში აწარმოებს:

1. **ცეცხლისაგან დაზღვევას** ქარხნებისა, ზავოდებისა, საბინადრო და სხვა შენობებისა, საქონლისა და მოძრავ ქონებისას.
2. **კოლექტიური დაზღვევა** უბედურ შემთხვევათაგან ქარხანა-სამრეწველოებში მოსამსახურე პირთა და მუშებისა.
3. ყოველნაირ ცეცხლისაგან უზრუნველყოფილ შენობებისა და მოწყობილობის აგებას.

პირველ მოთხოვნილებისთანავე ვგზავნით: წესდებას, დაზღვევის პირობებს და დაზღვეულთა სიას.

კავშირის გამგეობა იმყოფება:

მოსკოვში, ფურკასოვსკის მისახვევი, სახლი კეპენისა.

კავშირის განყოფილება კავკასიაში:

ბათუმისა, დაღესტნისა, ყარსისა, ყუბანისა და თერგის ოლქებში, განჯისა, ქუთაისისა, სტავროპოლისა, ჩერნომორისა, ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებისა და სოხუმის ოლქისათვის იმყოფება ქ. ტფილისში, სერგიევის ქუჩა სახლი № 1, მირზოევისა.

კავშირის კავკასიურ განყოფილების
წარმომადგენელი **ა. ნ. მილოვი.**

1647

ექიმი ს. ი. გძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შიგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს შინაგან და ბავ**შვთა სნეულებით** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ
„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე.
წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი“, ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 10-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ. ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის ს. მოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 4, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1159 რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი თ-დ პავლე თუმანიშვილი.

ძარხნის მარკა
კონიაკი და ლიკორი
ს. ს. შამბრიარსკისა
ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

ОТКРЫТА
подписка на 1913 годъ
на политическую, общественную и литературную ежедневную газету
ЗАКАВКАЗЬЕ
(Восьмой годъ изданія)
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
Съ доставкой въ городѣ Тифлисѣ:

12 м.	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	м.
р. 5	р. к. 4 70	р. к. 4 40	р. к. 4 10	р. к. 3 80	р. к. 3 40	р. 3	р. к. 2 60	р. к. 2 20	р. к. 1 75	р. к. 1 35	р. к. 75

Съ пересылкой для иногороднихъ

р. 7	р. к. 6 50	р. 6	р. к. 5 50	р. 5	р. к. 4 50	р. 4	р. к. 3 50	р. к. 2 80	р. к. 2 10	р. к. 1 40	к. 75

Заграницу вдвое больше городской.
Для ГОДОВЫХЪ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе какъ до конца года, въ конторѣ редакцій, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра).
Телефонъ № 917.

Годовые подписчики, внесшіе подписную плату за 1913 годъ сполна, будутъ получать газету въ декабрѣ С. Г. БЕЗПЛАТНО.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЕ:

Для Закавказья за мѣсто, занимаемое строк й петита: передн текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 к. Стороннее сообщеніе 15 к., зрѣлища и увеселенія 20 к.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги на 4 стр.—2 к. каждое. Траурныя объявленія—4 руб.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцлъ и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор.: С.-Петербургѣ—Большая Морская, № 1, въ Варшавѣ—Маршалковская № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста. 1646

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან [illegible] ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2. მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1 ე. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და [illegible] სნეულებანი.	ექიმი-ქალი გერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ხულბაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	ბედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11. დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2. ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½ ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1610

1865.
1870.
1882.
1896.
კალოშები
1860
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ
ТРЕУГОЛЬНИКЪ
ტრეუგოლნიკ

1553

გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:
ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები, (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
✦თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ზონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
✦ბაქოში—ილია აგლაძესთან.
✦ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
✦ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კაგკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომოურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან
ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაალოგლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს. დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვ ა ს წ ა ვ ლ ი
ქართულ
„სიმღერა-გალობას“
ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი № 11, მიხეილ კავსაძესთან. 886

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ. ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
წამლობა „606“-ით. 10[illegible]8

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ნაფიც-ვექილ. თანაშ.
გიორგი პავლეს ძე
გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი
გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.
ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
ბოგოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6-

ექიმი ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გასხერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ ქ., № 94, სადგურის განყოფი. პირ. ი პირ. 530

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

21 დეკემბრის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს სათათბიროს რედაქციით სამი კანონ-პროექტი; მათ შორის არის კანონ-პროექტი იმ აქტების ბაჟის გადახდაზე, რომელნიც ეხებიან უძრავ მამულის მფლობელობას და სარგებლობას. მორიგი საკითხი არის ტუსაღთა ნივთიერ კმაყოფილების კანონ-პროექტი.

გრიმი. კანონ-პროექტი ტუსაღთა ბევრ კატეგორიას აყენებს ცუდ გარემოებაში იმით, რომ ყველას აიძულებს ტუსაღის ტანისამოსი ჩაიცვას. კანონ-პროექტი საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიას უნდა გადაეცეს.

სატუსაღოთა სამმართველოს უფროსი. კანონ-პროექტი განიხილა სათათბიროს ორმა კომისიამ და საბჭოს საფინანსო კომისიამ. იგი არსებულ კანონებზე უფრო ჰუმანიურია. ტუსაღთა ტანისამოსის ტარება აუცილებელია, რათა ციხიდან გაქცევას ხელი შეუშალოს. ეს საზღვარგარედ უკვე შემოღებულია.

გრიმის წინადადება უარჰყო საბჭომ. მიიღო კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით.

საბჭომ მიიღო შესწორებით სათათბიროს კანონ-პროექტი 6 აგვისტოს კანონის გავრცელება პოლონეთის სამეფოშიაც შესახებ უკანონო შვილთა. კანონ-პროექტი სათათბიროს გადაეცემა ხელმეორე განსახილველად.

სახელმწიფოს მდივანმა გამოაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის გლეხთა დროებით ვალდებულებათა გაუქმების კანონ-პროექტი უმაღლესად დამტკიცებულია.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ საბჭო შეუდგა სავაჭრო დაწესებულებაში მუშაობის დღის კანონ-პროექტის განხილვას. განსახილველი იყო კანონ-პროექტის მეთერთმეტე მუხლი. ამ მუხლის ძალით მოსამსახურეთ ეკრძალებათ მუშაობა კვირაობით და ათ-თორმეტ დღესასწაულებში. ეკრძალებათ აგრეთვე მუშაობა 19 თებერვალს. საბჭოს კომისიას შესაძლებლად მიაჩნია კვირა-უქმე დღეებში ივაჭრონ მხოლოდ ხუთ საათს.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. საჭიროა შესწორების შეტანა, რომ ადგილობრივ თვითმართველობის საგანგებო დადგენილებით შეიზღუდოს საქმეებში მუშაობის ხანგრძლივობა.

არქიეპისკოპოზს ნიკოლოზს აუცილებლად მიაჩნია კვირა-უქმეებში სრული დასვენება ჰქონდეთ მოსამსახურეთ. საჭიროა განმარტებისთვის მივმართოთ სინოდს, რათა მან საკითხი საეკლესიო მხრით გაამუქოს.

მინისტრის შესწორებას იცავდნენ: ბაგალეი, ფონ-დიუტმარი, კრამერი, ზინოვიევი მესამე; კომისიის აზრს ემხრობიან: კრესტოვნიკოვი, ეპისკოპოსი ნიკონი, როტვანდი, მომხსენებელი ტრიპოლიტოვი.

კოვალევსკის აზრით საჭირო იყო ედღესასწაულნათ მოსამსახურეთ 19 თებერვლის რუს ხალხის საერთო დღესასწაული. მეთერთმეტე მუხლი მინისტრის რედაქციით მიიღეს. კოვალევსკის წინადადება უარ-ჰყვეს.

საღამოს სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

საღამოს სხდომაზე იმავე კანონ-პროექტს იხილავდნენ. საბჭომ მიიღო ძეთორმეტე და მეცამეტე მუხლი მინისტრის რედაქციით, რომლის ძალითაც ნება ეძლევათ ადგილობრივ თვითმართველობის მოსამსახურეთა მუშაობის აკრძალვისა, იმ უქმე დღეებში, რომელნიც კანონში არ იქნება აღნიშნული. მეთორმეტე მუხლი მიიღეს უმნიშვნელო შესწორებით. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მეთხუთმეტე მუხლმა, შესახებ მცირეწლოვანთა მუშაობისა. შესწორება შეიტანეს: მინისტრმა, ვასილიევმა, კოვალევსკიმ, დიტმარმა, კრესტოვნიკოვმა. კენჭის ყრა 22 დეკემბრისთვის გადაიდო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ [illegible] ჩვენს გაზეთში [illegible]სებულია სათათბიროს კრების ანგარიში რომელშიაც მოყვანილია სრულიად დეპუტატ ვარლამ გელოვანის სიტყვა სტენოგრაფიულ ანგარიშიდან ამოღებული.

✦ სახალხო სახლისა და თავშესაფარების გამგე კომისიამ დაადგინა, პირველს და მეორე თავშესაფარს თითოს 25 მან. მისცეს საჭმლის გასაუმჯობესებლად შობა-ახალწლის უქმეებში. ზუბალაშვილების სახალხო თავშესაფარში ამ ჟამად ექვსი ადგილია თავისუფალი კათოლიკეთათვის.

✦ დღეს, არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში დანიშნულია უკანასკნელი ლექცია პროფესორ გრედესკულისა: „ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

✦ ვერის საქალაქო პარკს ამ ჟამად ამშვენიერებენ. აგებენ ახალ შენობებს: პავილიონსა და როტონდას და პატარა ტბას აკეთებენ.

✦ შობის უქმის გამო ხვალა და ზეგ აკრძალულია წარმოდგენებისა, სინემატოგრაფებისა და სხვათა გამართვა.

✦ პოლიტეხნიკუმი. ქალაქის გამგეობამ „საუნივერსიტეტო ადგილში“ ნაჭრებად დაჰყო გასასყიდი მიწები და ნახალწლევს მსურველებზე გაჰყიდიან.

✦ ტფ. კანდიდატთა შუამდგომლობა, რომ ნება მიეცათ ახალ წლის დღეს ვაჭრობისა, ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა.

✦ საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი გუშინ, საღამოს, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ ამ დღესასწაულში მეტად საგულისხმო „საღამო“ მოელის ჩვენ საზოგადოებას. „განათლების“ გამგეობა ჰმართავს თავის სასწავლებლების სასარგებლოდ ისტორიულ საღამოს (ნაპოლეონის ხანა) ნაპოლეონს ჰყავანდა ხელზე მოსამსახურედ მამილიუკი რუსტამ, ტომით ქართველი, ტფილისელი, თათრებისაგან გაყიდული ეგვიპტეში. იქიდან, თურმე, ნაპოლეონს წაუყვანია მხლებლად დ ყველგან თან ახლდა. ამ ისტორიულ საღამოში რუსტამიც იქნება.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გამგეობის წევრი თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს დაავალოს იმუშაოს ტრამვაის დირექციის კანცელარიაში მან ბუხგალტერისა და ტეხნიკის თანხლებით უნდა გაიცნოს ტრამვაის დირექციის საქმის ქაღალდები და ანგარიშები და გამოარკვიოს, რამდენი რჩება დირექციას წმინდა მოგება.

✦ იორდანე. წელს გაიმართება: მართლმადიდებლებისა ვერის ხიდთან, სომხებისა-ვანქის ეზოში.

21 დეკემბერს, პოლიციის სხვა და სხვა უბანში 41 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ კვირას 23 დეკემბერს დანიშნულია სახალხო კითხვები შემდეგ აუდიტორიებში: ნავთლუღში წაიკითხავს ქ-ნი ჟურული: „მარგალიტის ყელსაბამი. ნაძალადევში. ქ-ნი ჩარკვიანი: „როგორ დღესასწაულობენ შობას დასავლეთ დ აღმოსავლეთ საქართველოში“ და „შობის ხე ქრისტესთან“. სამკურნალო საზოგადოების დარბაზში, მოზრდილთათვის, ექიმი მ. ფ. ფლორინი რუსულად წაიკითხავს სალ. 5—6 ს. „ანატომისა დ ფიზიოლოგიის პოპულარული კურსები“. სალ. 6—7 ს. ექიმი ოგანჯანოვი რუსულად „ქიები და კორწინება“.

✦ გუბერნატორმა ნება დართო წვრილშვილის პატრონ ნატალიას პეტრეს ასულ ჩხეიძისას გაზეთი საშუალებით მიჰმართოს საზოგადოებას დახმარებისათვის. იგი სამი შვილის პატრონია და მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ყოველიავე დახმარება უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით: ვერა, უდელის ქუჩა № 25. კითხეთ თვითონ ქვრივი ჩხეიძისა.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების საბჭომ მოხსენება შეადგინა მომავალ მოქმედებისა, რომელსაც განიხილავენ საზოგადოების საგანგებო კრებაზე, 28 დეკემბერს.

✦ დღეს, 23 დეკემბერს, დილის 11 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, დანიშნულია ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც მსჯელობას იქო-

ნიებს საძოვართა და ტყეების სერვიტუტთა ლიკვიდაციის თაობაზე.

◆ **წესიერ დასვენების** ახალ სავალდებულო დადგენილებათა მესამე და მეთორმეტე მუხლი, რომელშიაც ქალაქის საბჭომ საბაკალეინო და საკოლონიალო მაღაზიებიც შეიტანა, გუბერნატორმა დაამტკიცა. ასეთი მაღაზიები საღამოს 11 საათამდე ივაჭრებენ.

სომხეთა ცხოვრება

◆ სომეხთა მწერლის ა. არასხანიანის ხსოვნის აღსანიშნავად სომეხ მწერალთა კავკასიის საზოგადოებამ დაადგინა, გამოსცეს სალიტერატურო კრებული.

ქუთაისი

◆ **ფილხაზ ციციაშვილზე** თავდასხმის დროს დაჭრილ სტავროკოვს და ბოქაულ მარქაროვს ქალაქის საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს. 21 დეკემბერს დილის 4 საათზე ოპერაციის შემდეგ სტავროკოვი გარდაიცვალა, მდგომარეობა დაჭრილი ბოქაულისა საშიში.

◆ 20 დეკემბერს საღამოს შვიდ საათზე შეკრებილი ხალხის თანდასწრებით მიწას მიაბარეს ავაზაკების მიერ 19 დეკემბერს მოკლული აბეშა ციციაშვილი.

◆ ებრაელ ციციაშვილზე თავდასხმის გამო გუშინ 21 დეკემბერს დააპატიმრეს 20 ებრაელი ვაჭარი.

◆ გუბერნატორის განკარგულებით დაატყვევეს დარაჯი ჯიჯავაძე, რომელიც თან ახლდა ბოქაულ მარქაროვს მასზე ავაზაკების თავდასხმის და დაჭრის დროს.

◆ 20 დეკემბერს ღამით ქ. ქუთაისში პოლიციელებმა შეიპყრეს ვარლამ ვიმსაძე.

◆ 20 დეკემბერს მთელი რიგი მოწაფეებისა გაზეთს კითხულობდა ქალაქის სამკითხველოში; ამ დროს შევიდა იქ გიმნაზიის მეთვალყურე და ყველანი გარედ გამოიწვია.

◆ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებას გახსნილი აქვს **უფასო სამკითხველოები** შემდეგ ადგილებში: სვირში, სიმონეთში, ოკრიბახრესილში, კურსებში, მუხიანში, ქვიტირში, გურია-სუფსაში, რაჭაწესში, დიმში, ბაღდათში, ქუთაისში, (არქიელის გორაზე). აღძრული აქვს შუამდგომლობა სამკითხველოების გახსნისა შემდეგ ადგილებისათვის: რაჭაში წკალისს, აგარის, დერჩის, ლაილაშის (ლეჩხუმშია), ხიდის-თავის (გურიაში), გოჩა-ჯიხაიში და მაღლაკის (ქუთ. მაზრა). ზემორე ჩამოთვლილ სამკითხველოებს განყოფილება უწერს თავის ხარჯით შემდეგ პერიოდულ გამოცემებს: „სახალხო გაზეთს“, „მოსავალს“, „იმერეთს“, „ნაკადულს“, და ზოგს „ჯეჯილს“ „განათლებას“. საჯავახოს სამკითხველოს, „ჯეჯილს“ და „ნაკადულს“ გარდა ამისა განყოფილება უწერს ქვემორე ჩამოთვლილ ოც სკოლას მთელ გუბერნიაში საბავშო ჟურნალ „ჯეჯილს“ და „ნაკადულს“. სენაკის მაზრაში: 1. ფოცხის 2 კლასიან სკოლას, 2. ეკისას, 3. გეჯეთისას, 4. კოდორისას. ზუგდიდის მაზრაში: 5. ხობულის 2 კლასიან სკოლას. 6. ნამაზენისას, 7 ჭოლისას, 8. საჯიჯაოსას 9. კირცხისას. ოზურგეთის მაზრაში: 10. საჯავახოს სამრევლო სკოლას. რაჭაში: 11. უწერის სამ სკოლას, 12. თლუღისას. ლეჩხუმში: 13. ტვიშის სამრევლო სკოლას, 14. მექვენისას, 15. დერჩისას.

ქუთაისის მაზრაში: 16. ჯვარისის სამრევლო სკოლას, 17. წყნორისის 18. ხომულის, 19 ახალ-ჭალის და 20. აქარაწყლის. განყოფილება აგრეთვე თავის სამკითხველოებს წიგნებითაც ეხმარება. მან უკვე გაუგზავნა ამათ თავიანთი და სხვების გამოცემული თითოს 15 მ. ღირებული წიგნები აგრეთვე განყოფილებამ უყიდა ზოგიერთს ხელმოკლე სამკითხველოებს საანგარიშო დავთრები და წიგნების შესანახი შკაფები. აზრად აქვს. თუ სახსარი ექმნება თავის სამკითხველოებს დაეხმაროს ერთნაირი ტიპის საბიბლიოთეკო სახლის აშენებაში, რისთვისაც იგი სამესამედოთ გაიღებს წვლილს, თუ ორ ნაწილს ადგილობრივი საზოგადოებები იკისრებენ. („მერცხალი“).

ბაქო

◆ ბაქოში შესდგა **ქართველ ინტელიგენტთა პატარა წრე,** რომელმაც განიზრახა სთარგმნოს ქართულიდან რუსულად ქართველ მწერალთა საუკეთესო თხზულებანი. რედაქტორობა იკისრა ერთმა გამოჩენილმა რუსეთის მწერალთაგანმა. წრე მიჰმართავს ყველას, ვისაც შეუძლიან წარმოადგინოს თარგმანი. შრომის ფასი შეძლების დაგვარად მიეცემა ყველას. სასურველია ითარგმნოს მხატვრული ლიტერატურა და პოეზია. ამ საქმის გამგის მისამართი: Гоголевская ул. д. Мухтарова Н. В. Канделаки.

ქუთაისის აპ-კარგი

სახალხო უნივერსიტეტმა საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი ქუთაისში. ხალხი ეჩვევა ლექციებს და დიდი დრო არ გაივლის, რომ საჭიროებად გადაექცევა ქუთაისის მოქალაქეთა იმ ნაწილს რომელსაც ეჭირვება ლიტერატურისა და მეცნიერების სხვა და სხვა დარგის პოპულარიზაცია, თუ, რასაკვირველია, სახ. უნივერ. გამგეობა ერთხელვე აღებულ გეზსს არ უღალატებს.

მართლა რომ ზოგ-ზოგ ლექციას მდაბიობა აკლია. ამიტომ გამგეობამ ამ ნაკლს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს ძალიან, ჰღლის ხალხს. გამგეობას სამი ლექცია დაენიშნა. დარწმუნებული ვართ რომ უკანასკნელი (კიტა აბაშიძის) ლექციის ინტერესს რომ არ შეეკავებინა ხალხი, ზალა მეორე ლექციის შემდეგ დაიცლებოდა. სხვა რომ არა ვთქვათ-რა ისიც კმარა, რომ 3—4 საათს თეატრის ბნელსა და ნესტიან ზალაში ხალხის შეჩერება, ძნელი საქმეა.

16 დეკემბრის ლექციებში განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა ბ-ნი კიტა აბაშიძის ლექცია ილია ჭავჭავაძის შესახებ. ბ-ნ აბაშიძეს საზოგადოება არაჩვეულებრივი ოვაციებით შეხვდა. ოვაციები რამდენსამე წუთს გაგრძელდა და პატივცემული ლექტორი, ასეთმა გულმხურვალე შეხვედრამ, ააღელვა, რაც ლექციის შესავალს დაეტყო. თვით ლექცია მეტად საყურადღებო, შინაარსიანი და ორიგინალური აღმოჩნდა. ჩვენის ფიქრით ჯერ ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობას არავინ შეხებია იმ მხრით, როგორც ბ-ნი კიტა აბაშიძე შეეხო.

აი დაახლოვებით ლექციის შინაარსი:

ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ხაზით გატარებულია ერთი მთავარი აზრი: მამულის სიყვარული. ამ სიყვარულს, ამ რწმენას არავითარი ბუნდოვანი ხასიათი არა აქვს, იგი სრულიად ნათელი პოლიტიკურ-სოციოლოგიური რწმენაა „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო“, ბრძანებს ილია თავის პირველ ნაწარმოებში და უკანასკნელი მისი ლექსიც ამ აზრს უტრიალებს გარშემო: მგოსანი შენატრის იმ ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიცა ხელი დასწვდება იმ აკვანს, რომელიც თამარ მეფეს წალკოტში დაუსვენებია და ერს თვისთა ცრემლთა დენით ტბა გადაუხურავს.

ხოლო მამულის აღდგომისა და განახლების იმედს ჩვენის ერის ჯანსაღ ელემენტებზე ამყარებს. ილია გვაძლევს თავისის ნაწარმებით სოციოლოგიურ სურათს ჩვენის ერისას. ერთის მხრით არიან ბურჯნი ჩვენის იმ დროინდელის ცხოვრებისა, რომელნიც უფსკრულისაკენ მიექანებიან, მეორეს მხრით კი ჩაგრულნი, მათის მეოხებით „ყაჩაღად“ ქცეულნი, მაგრამ რომელთა სულის სიმხნევე და ენერგია გვარწმუნებს, რომ თუ არ მოშხამული ატმოსფერა, იგინი ცხოვრების მეთაურები უნდა იყვნენ. ერთის მხრით ლუარსაბი და დარეჯანი, დათიკო, არჩილა და კესო, მეორეს მხრით გაბრო, კაკო, ზაქრო გიორგი და ოთარაანთ ქვრივი. ლუარსაბი და დარეჯანი თავისის არსებობით ადამიანის სახელსაც კი არცხვენენ. მათ ტახტზე გადაგორ-გადმოგორების მეტი არა იციან რა, მუცლის აყოლვის მეტი იდეალი არა აქვთრა. სამაგიეროდ მათ სულიერ შვილს, მათ ნამდვილ მემკვიდრეს დათიკოს, ხორცის დაკმაყოფილების მეორეც მხარე აინტერესებს. იგი მარტო სქესობრივ ინსტინქტების ფატალურ გავლენის მონაა, მისთვის მეტი არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს ქვეყანაზე. და აი ამ ორ მოდგმას მოჰყვება გადაგვარებული კერა და არჩილი, ეს „ნულები“ ეს მშრალი ეტრადი, რომელზედაც რამდენიმე გაზეპირებული ფრაზებია დაბეჭდილი.

სამაგიეროდ გაბრო და კაკო ჯანსაღი და მამაცი არსებანი არიან, მაგრამ მოშხამული ატმოსფერა მათ სულს უხუთავს, იგინი „ყაჩაღად“ იქცევიან იმ წესწყობილებისაგან გულ ამღვრეულნი, მაგრამ ეს მაინც იმას არა ჰნიშნავს, რომ იგინი „რევოლიუციონერები“ იყვნენ, იგინი „ბუნტოვშჩიკები“ არიან „აჯანყებულნი“. მათ არავითარი მოქმედების გეგმა არა აქვთ შემუშავებული, არავითარი გარკვეული შეხედულება არა აქვთ ცხოვრებაზე, არამედ პირადის გამოჯავრებით, პირადის შეურაცხყოფის გამო იქცევიან პროტესტანტებად.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჰაერი დაწყნარებული იყო. იურიდიულად მაინც მოსპობილი იყო ეს ინსტიტუტი და ისეთი უმსგავსება აღარ იყო ცხოვრებაში როგორც გაბროსა და კაკოს დროს. ამიტომაც ბატონსა და ყმის შორის უფრო ადამიანური განწყობილებაა. ამ ეპოქაშია დაბადებული გიორგი. მას დიდი კავშირი აქვს „გაბროსთან, იგიც მისსავით „რომანტიკოსია“: გატაცებული, თავის გრძნობის საკუთრებაზე თავისი თავის შემწირველი მისი სიყვარული აშკარად ხდის მის ღრმა გრძნობიერებას ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით კი კესოს გადაგვარებას. კესოს არა თუ თეორიულად ვერ წარმოუდგენია რომ გლეხკაცს შეეძლოს ქალბატონის შეყვარება, ფიზიოლოგიურად იმდენად მოდუნებულია, რომ ვერც კი ჰგრძნობს ვნებით აღსავსე ქშენას გიორგისას. ვერ გაუგია რა მიზეზია, რომ გიორგი ხშირად მის შეხედვაზე წაბარბაცდება ხოლმე.

თუ ბატონების წოდება იმდენად გადაგვარდა, რომ თვით ფიზიოლოგიურადაც კი დაჩლუნგდა, სამაგიეროდ განთავისუფლებულმა გლეხობამ ისეთი პიროვნება შექმნა, როგორიც—ოთარაანთ ქვრივია. ნამდვილი, ცხოვრების ბრძოლაში გაკაჟებული, გასალკდევებული ადამიანი. გარეგნულად პირქუში მყრალი, გულში კი კეთილი, ადამიანის მოყვარე, გულმოწყალე არსება. მისი თავგანწირულება შვილის აღზრდის დროს, მისი შეგნება თვისი უფლებისა და ამ უფლებების დაცვა გვამცნებს რომ იგი ძლიერი ადამიანია და ბუნებით მაგარი არსება.

ბ. გედევანიშვილის გამოცემაში მოიპოვება ვარიანტი „გლახის ნაამბობისა“, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ეს ვარიანტი „კაკოდ“ წოდებული გვიჩვენებს, რომ ილიას თავდაპირველად „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“ და კაკო“ ერთ მოთხრობაში ჰქონდა მოქცეული. ის აზრი რომ დათიკო ღვიძლი შვილია ლუარსაბისა და დარეჯანისა აქ ფაქტიურად მტკიცდება! ლუარსაბისა და დარეჯანის (ქეთევანის) შვილი კოლა (დათიკო) და გაბრო კაკოდ არის ქცეული. ეს ვარიანტი როგორც მისი სტილი ამტკიცებს უნდა ეკუთვნოდეს 1858—1859. და გვიმტკიცებს, რომ ილიას მოთხრობა ბევრად უფრო ადრე ყოფილა დაწერილი ვიდრე დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ დაისტამბებოდა (ეს უკანასკნელი მოქცეულია „ცისკრის“ 1859—1860 წლებში) და მაშასადამე სრულიად მოკლებულია ყოველ საფუძველს ის აზრი, რომ ჭონქაძეს ვითომ პირველს მიექცეს ყურადღება ჩვენ ლიტერატურაში გლეხთა სვებედისათვის.

ს. ე. ქ.

ვლ. ს. ლ. მესხიშვილის იუბილეს გამო.

ამ დღეებში საიუბილეო კომიტეტმა დაუგზავნა საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთ შემდეგი შინაარსის ბარათები:

„შარშან შესრულდა ოც-და-ათი წელიწადი, რაც ქართულ სასცენო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი სახელოვანი მსახიობი **ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი.** იგი ეკუთვნის იმ რჩეულთა ჯგუფს, რომელმაც სული ჩაუდგა ქართულ ხელოვნებას და მისი არსებობა საუკეთესო ნიადაგზე დაამყარა.

ასეთი ხანგრძლივი სამსახური სამშობლოს საკეთილდღეოდ თავისთავად საპატიოა და თაყვანის საცემი, მაგრამ თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ეს ღვაწლი გასხივოსნებული იყო იშვიათის ნიჭით და ზეამაღლებულ გრძნობათა მეტყველებით,—მაშინ თვალ-წინ წარმოგვიდგება მთლიანად სიდიადე და ბუმბერაზობა ლადო მესხიშვილისა.

ლადო მესხიშვილის სახელთან შეერთებულია განცდა და წარმოდგენა უნაზეს და მაღალ გრძნობათა, რადგანაც იგი იყო და არის დღესაც ჩვენს სცენაზე ევროპის და ჩვენი სადრამო ლიტერატურის საუკეთესო გმირთა სულის კვეთების უბადლო გამაპიროვნებელი და გადმომცემი.

კლასიკურმა რეპერტუარმა ჩვენს ხელოვნების ტაძარში ფეხი მოიკიდა მხოლოდ მისის წყალობით და დღესაც მხოლოდ იგია საუკეთესო ქურუმთაგანი, რომლისაც ძალუძს განსჭვრეტელს მაყურებლის არსება დიადის გრძნობით და გონება კი მაღალის აზრით აღძრას.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ლადო მესხიშვილი ყველა ქართველისათვის სათაყვანებელი სახელია და რომ თვით ხანთა შემოდგომამაც კი უძლურია დაიწყების ჩრდილი მიაყენოს ამ სახელს.

რაღა თქმა უნდა, ასეთი ნაყოფიერი და სხივნართი მოღვაწეობა ოც-და-ათის წლის განმავლობაში საგანგებოდ აღუნიშნელი ვერ დარჩებოდა. სწორედ ამიტომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ,—საზოგადო კრების დასტურის თანხმად,—განიზრახა იდღესასწაულოს ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის იუბილე.

გამგე კომიტეტმა, რომელიც შესდგა დრამატ. საზოგად. გამგეობის მოწოდებით, **იუბილე დანიშნა 10 თებერვალს 1913 წელს.**

დროებით ვალდებულ გლეხების კან.-პროექტი

და მისი განხორციელება.

უკვე შვიდი წელიწადია მას შემდეგ, რაც რუსეთს წარმომადგენლობითი წესწყობილება ეღირსა; სამმა სათათბირომ გახვლო ჩვენ თვალ წინ; მართალია ორი პირველი მოკლე დღიანი გამოდგა, მაგრამ, სამაგიეროდ, მე-III-ე სათათბირომ კანონით დადებულ ხუთი წლის არსებობის განმავლობაში იმდენი რამ გააკეთა, რომ მოლოდინს გადააჭარბა და ყველას, ვინც კი მას „ნაყოფიერ“ მუშაობას თვალს ადევნებდა, თავბრუ დაახვია. მართლაც და, რა არ გააკეთა მე-III-ე სათათბირომ? არ დარჩენია არც ერთი დარგი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რომ ხელი არ წამოეკრა. არ დასტოვა უყურადღებოდ განაპირა ქვეყნებიც; ამათთვისაც იზრუნა და ამასთან ისე, რომ მე-III-ე სათათბირომ სრულიად უკვდავ ჰყო თავისი თავი. სხვა რომ არა ვთქვათ, განა მე-III-ე სათათბიროს ოდესმე დაივიწყებს ფინლიანდია და პოლონეთი? მე-III-ე სათათბირომ არც ჩვენ დაგვივიწყა, ჩვენკენაც გადმოიხედა თავის მოწყალების თვალით. ჩვენც გვიწყალობა რეფორმა, თუ რეფორმად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ინსტიტუტის გაუქმება, როგორიც არის ბატონყმური ნაშთების მოსპობა.

საფუძვლად დროებით ვალდებულ გლეხების აგრარიულ და თვით შიდა რუსეთშიაც კი უკვე 1881 წ. ისტორიას ჩაბარებულ ნაშთის მოსპობის კანონ-პროექტის დასამუშავებლად დაედო ნაქსტნიკის მიერ სათათბიროში წარდგენილი მოსაზრებანი. მე-3-ე სათათბირომ ნაქსტნიკის დებულებანი ამ საკითხის შესახებ თითქმის უცვლელად[1]) მიიღო და ამით დააკანონა ის უსამართლობა, რომელიც თავის დროზედ ჩვენი პრესის მიერ იყო აღნიშნული: სახელდობრ გამოსყიდვა სანადელო მიწებისა ხაზინის დახმარებით გლეხების ხარჯზედ, იმ გლეხებისა, რომელთაც აქ 50 წლის განმავლობაში, მემამულეების სასარგებლოდ ხარჯების მიცემის სახით, გამოსასყიდ მამულების ღირებულება რამდენჯერმე აქვთ გადახდილი. ეტყობა სათათბიროს უმრავლე-

---

[1]) ამ წერილის წერის დროს ხელთ მქონდა როგორც ნაქსტნიკის მოსაზრებანი, პროექტი, ისე წერილები ამ საგანზე დეპ. კ. ჩხეიძისა, საიდანაც სჩანს რომ ცვლილებები არაფერი შეუტანიათ. იხ. წერილები კ. ჩხეიძისა: „Зак. Рѣч.“ 3, 14 და 15 ივლისისა.

სახელმწიფო სათათბირო

13 დეკემბრის სხდომა.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. კითხულობენ სათათბიროში შეტანილ საქმეების სიას, მათ შორის ოქტომბრისტთა საკანონმდებლო მოსაზრებას საერობო ხმოსანთა არჩევნების შეცვლის თაობაზე.

ლუცის წინადადების თანახმად, დაამტკიცეს არჩევნები ვოლოგდის გუბერნიის სამი დეპუტატისა.

მილიუკოვი. დეკლარაცია შეიცავს წინააღმდეგობათა მთელ წყებას. წინააღმდეგობა არის საკანონმდებლო მოსაზრებაა და მათ გამახორციელებელ საშუალებათა შორის. მილიუკოვის აზრით, ეს იმიტომა ჰხდება, რომ სახალხო წარმომადგენლობა ხელოვნურად შექმნილ პირობებშია ჩაყენებული. ასეთი მდგომარეობა იქნება იმ დრომდე, სანამ არ შეიცვლება საარჩევნო კანონი, სანამ სახელმწიფო საბჭო ძირითად ცვლილებას არ განიცდის და სანამ პასუხისმგებელი სამინისტრო არ შეიქმნება. ორატორი დიდ-ხანს შეჩერდა ეროვნულ საკითხზე და განაცხადა: კანონი არ შეიძლება იყოს სხვა და სხვა ეროვნებისთვის ან კეთილ-სასურველი, ან არა—კეთილ სასურველი. კანონი უნდა იყოს ყველასთვის თანასწორი და სამართლიანი. ამის შემდეგ მილიუკოვმა დაწვრილებით ილაპარაკა გარეშე პოლიტიკაზე და გარეშე საქმეთა სამინისტროს მოქმედება მოიწონა. მილიუკოვი სავსებით უერთდება ოფიციალურ დიპლომატის პოზიციას: იგი უზრუნველჰყოფს ჩვენს მშვიდობიანობასაო. მილიუკოვი შეეხო ოსმალეთის სომხეთის მდგომარეობას, სადაც, მისი აზრით, რუსეთს სამხედრო და ეკონომიური ინტერესები აქვს.

შიდლოვსკი პირველი. ოქტომბრისტები სიამოვნებით ეგებებიან მთავრობის სურვილს, განხორციელებულ იქმნას უფლებრივი დებულებანი 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად. ვეგებებით ამ განცხადებას, მაგრამ ამასთანავე ერთად გვინდა გამოვარკვიოთ, შეიძლება თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ წაკითხული განცხადება ჩაითვალოს ახალ მომენტად ჩვენი მთავრობის პოლიტიკაში. ჯერ ისევ ცოცხლად სდგას ჩვენს წინაშე მოგონებანი ამ ახლო წარსულისა. ჩემთვის, მაგალითად, სრულიად გამოურკვეველია, როგორ უნდა იქმნას გაგებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, ან რა თვალით უცქერის მთავრობის უკანასკნელ დროის მოქმედებას. მართლა უნდა დადგეს ახალი მომენტი, თუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უფლებრივ ნორმების განხორციელებად მიაჩნია ის პოზიცია, რომელზედაც იდგა მთავრობა არჩევნების დროს. ეს საკითხი ჩემთვის გამოურკვეველია. ჩვენ ყოველ დღე ვკითხულობთ, რომ გაზეთებს აჯარიმებენ. ვხედავთ იმასაც, რომ ამ დაჯარიმებაში არავითარი სისტემა არ არის. ყველაფერი დამყარებულია ამა თუ იმ კერძო ადმინისტრატორის შეხედულებაზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთს გაზეთსა სჯიან იმისთვის, რისთვისაც მეორეს ხელს არ ახლებენ. ამიხსენით. განა ეს შეეფერება იმ პრინციპებს, რომლებიც 17 ოქტომბრის მანიფესტს უდევს საფუძვლად? მერე, ბატონებო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სთქვა, კანონმდებლობის მიზანია ხალხის ცხოვრების განვითარებულ მოთხოვნილებებს მისდოს კვალ და კვალაო. მაგრამ დეკლარაციაში ნაჩვენები არ არის, რანაირი კონკრეტული ფორმები უნდა მიიღოს ამ კანონმდებლობამ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს რომ ეთქვა, მაშინ ჩვენც აღვნიშნავდით, რაში ვეთანხმებით მთავრობას და რაში არა. მაგალითად, საქალაქო დებულებათა და სახალხო წვრილ კრედიტის საკითხზე მთავრობის განცხადება სრულიად ვერ გვაკმაყოფილებს. მთავრობა დაგვპირდა,—სანამ შესაფერ კანონებს გამოვცემთ, მხედველობაში მივიღებთ ცხოვრების სხვა და სხვა მოთხოვნილებას და შეუფარდებთ მიწათ-მფლობელთა ინტერესებსო. საქმე ის არის, გარკვევით ყოფილიყო ნათქვამი, თუ რა ხასიათისა იქნება ეს შეფარდება. ადგილობრივ თვითმმართველობის თაობაზე მოლაპარაკემ სთქვა, რომ შინგარიოვის სიტყვები, ვითომც ერობა განიცდიდეს ფიზიკურსა და ზნეობრივ გადაგვარებას, სინამდვილეს არ ეთანხმება. ერობამ შეინარჩუნა საუკეთესო ტრადიციები კურთხეულ ძველი დროისა (ტაშის ცემა ცენტრში და მარჯვნივ) ადგილობრივ თვითმმართველობის დარგში მთავრობას ჯერ არსებითი არაფერი გაუკეთებია, რადგანაც თვითონვე განაცხადა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის დებულებათა გადათვალიერებას შეუდგებითო.

სიტყვის დასასრულს შიდლოვსკიმ ილაპარაკა გარეშე პოლიტიკაზე, შეეხო ბალკანეთის საკითხს და სხვათა შორის სთქვა: ოქტომბრისტებს მშვიდობიანობა ჰსურთ, მაგრამ ამასთანავე ისიცა სწამთ, რომ მშვიდობიანობის საუკეთესო უზრუნველსაყოფელი საშუალება არის ძლიერი ჯარი, რომელიც მონარქის ბრძანებისთანავე მზად იქნება სახელმწიფო ღირსების დასაცავად სისხლი დაღვაროს (ტაშის ცემა ცენტრში).

ნეკრას-ვი, როგორც ციმბირის წარმომადგენელი, ეხება ციმბირის საჭიროებებს და მოითხოვს, რაც შეიძლება მალე შემოიღონ საერობო თვითმმართველობა და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

ლვოვი პირველი. 17 ოქტომბრის მანიფესტი არის განმათავისუფლებელ მეფის რეფორმათა ბუნებრივი, აუცილებელი განვითარება, როგორც მაშინ, ეხლაც ისევე ისმის მუქარა, მაგრამ ეს მუქარა საშიში როდია: როგორც მაშინ, ეხლაც ისევე, ხელს არ შეგვიშლის რეფორმები განვახორციელოთ. რასაკვირველია ეკონომიური და კულტურული საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს ერთი დიდმნიშვნელოვანი საგანთაგანია, მაგრამ ერის ისტორიაში არის ისეთი წუთი, როდესაც ყველა საკითხი ერთს უმთავრეს საკითხის გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს როგორც სამოციან წლებში მთავარი საგანი იყო გლეხთა განთავისუფლება, ეხლაც,—პიროვნების უუფლებობის და მთავრობის თვითნებობის ხანაში,—არ შეიძლება შეიქნეს რაიმე ძლიერება, რამე ეროვნული მოძრაობა (ტაშის ცემა ცენტრსა და მარცხნივ). ლვოვი დაწვრილებით ეხება მთავრობის პოლიტიკას და დასასრულ ამბობს, რუსეთში არის საზოგადოებრივი აზრი და ვერ მოითმენს, რომ მასხარად აიგდონ იგი, როგორც აქამდის. ეს საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს ძალას და იგი პატივისცემას და შეწყნარებას მოითხოვს (ხანგრძლივი და ძლიერი ტაშის ცემა ცენტრსა და მარცხნივ).

ვარლამ გელოვანის სიტყვა.

ბ-ნნო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! იმ პატარა ქვეყანამ, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროში გამომგზავნა, დამავალა, მივიღო მონაწილეობა რუსეთის საერთო საკანონმდებლო მუშაობაში და ამასთანავე გავაცნოთ ქართველი ხალხის საჭიროებანი და მისწრაფებანი. ამ მანდატის ასასრულებლად, მე, მოვისმინე რა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ამ განცხადებაში გამოსჭვივის ისეთივე უყურადღებობა საზოგადოდ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს საჭიროებისადმი, რანაირიც ახასიათებდა რუსის მთავრობის ასი წლის პოლიტიკას კავკასიაში. მე, როგორც ქართველ ხალხის წარმომადგენელი, მოვალე ვარ დაგანახვოთ ჩემი აზრი ამ დეკლარაციის შესახებ. საქართველო რუსეთის ნაწილია და ჩვენის ღრმა რწმენით ასეთივედ დარჩება შემდეგშიაც. მოჰხდება ეს არა მარტო პოლიტიკურის მოტივებით, არამედ იმიტომაც, რომ ქართველი ხალხი დიდის სიმპატიით ეპყრობა რუსულ მეცნიერებასა და მწერლობას, რუსის ინტელიგენციასა და ხალხსა... (ხმები: ვაშა)... მემარჯვენებმა რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ქართველ ხალხის სეპარატისტულ მისწრაფებაზე, მე თამამად და სრულის პასუხისმგებლობით შემიძლიან განვაცხადო, რომ ეს არის გველური სისინი, საუბედუროდ გველურ სიბრძნეს მოკლებული; ჭორებს ქართველ ხალხის სეპარატიზმზე ავრცელებენ ისინი, რომელთაც ერთნაირადა სძულთ როგორც რუსეთის იმპერიაში მოსახლე ინოროდცები, ისე რუსის ხალხი (ტაში და ხმები მარცხნიდან: ვაშა; თავმჯდომარე ზარსა რეკავს)... ვინაიდან ვერ წარმომიდგენია, რომ სამშობლოს მოსიყვარულე ხალხი სამშობლოს გაძლიერების იმედებს მძულვარებაზე ამყარებდეს. ისინი კი სწორედ ასე იქცევიან. როგორც რუსეთის მოქალაქენი, ჩვენ, ქართველები, რუსეთის მოწინავე დემოკრატიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ვივლით, ვიმუშავებთ იმ უმთავრეს მიზნის განსახორციელებლად, რომელიც დაუსახავს რუსის ხალხს—ვიმუშავებთ პოლიტიკურ თავისუფლებისა, მოქალაქეობრივობისა და პიროვნების განთავისუფლებისთვის. მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ არ შეგვიძლიან დავივიწყოთ, რომ საქართველოს აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი ისტორია, კულტურა, ენა, თავისებური ყოფა-ცხოვრება. ყველა ამის გამო მასა აქვს თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისწრაფებანი და საჭიროებანი. რუსეთის სახელმწიფოებრივი განახლება, რაიცა დღეს მთელი რუსეთის პირველ მიზანს შეადგენს, აუცილებლად სხვა და სხვა ადგილებში, განსაკუთრებით ისეთს ადგილებში, რანაირიცაა კავკასია საზოგადოდ და საქართველო კერძოდ სხვა და სხვანაირ ფორმას მიიღებს. თუ, მაგალითად, ყველა მოქალაქეთათვის პირუთვნელი სასამართლო არსებით მოთხოვნილებას შეადგენს, ასეთსავე მო-

სობას უტყუარ საბუთად მიუჩნევია ნამესტნიკის მიერ გამოთქმული ერთად ერთი დასაბუთება მიწების გლეხების ხარჯზედ გამოსყიდვის შესახებ: „უსასყიდლოდ დათმობა სანადელო მიწებისა გლეხებისათვის და მემამულეების ხაზინის ხარჯით დაჯილდოება საწინააღმდეგო იქნებოდა იმ პრინციპისა, რომლითაც ხელმძღვანელობდით ამავე შემთხვევაში შიდა რუსეთში“. რასაკვირველია ამ შემთხვევაში განგებ ხუჭავენ თვალს ნამესტნიკიც და სათათბიროს უმრავლესობაც, როცა ამას ამბობენ, და ივიწყებენ, რომ შიდა რუსეთში, ჯერ ერთი, განთავისუფლება—მიწების გამოსყიდვა მოხდა 1881 წ., ესე იგი თითქმის 32 წლით ადრე, მაშინ როცა ჩვენი გლეხები ამ ხნის განმავლობაში ერთი ორად იხდიდნენ გადასახადებს და, მაშასადამე, უკვე მთელი მამულის ღირებულებაც მიცემული აქვთ. მეორეც, თუმცა რუსეთის გლეხობას დააკისრეს ხაზინის მიერ სანადელო მიწებში გადახდილი ფული, მაგრამ მომეტებული წილი დაკისრებულ გადასახადისა, რამდენიმე მილიონი, ეპატია, ჩვენს გლეხებს კი ამას არავინ აღირსებს და თითო კაპეიკობით დაათვლევინებენ.

ყველა ამას, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენმა პრესამ შესაფერი მსჯავრი დასდო და მეც აღარ გავიმეორებ. მე ამ ჟამად კანონ-პროექტის სულ სხვა მხარე მაინტერესებს, სახელდობრ ის, თუ რანაირად და რა საშუალებით ჰფიქრობენ კანონ-პროექტის ავტორნი ამ დროებით ვალდებულობის ლიკვიდაციის ცხოვრებაში გატარებას. ეს მხარე, ჩემის ფიქრით, მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც კანონის განხორციელების საქმის ორგანიზაციის შესაფერად მოწყობას ბევრი სხვა ახალი უსამართლოების აცილება შეუძლიან, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს იმ ორგანიზაციას, რომელიც კ—პ-ის მიერ არის განძრახული, თუ შესაფერი შესწორებანი თავის დროზედ არ იქნა შეტანილი.

(შემდეგი იქნება)

მროველი.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.

(დასასრული *)

ინსტრუქტორი გედევანიშვილი დაწვრილებით და დასაბუთებით მოახსენებს საბჭოს, თუ რად აირჩია სექციამ კაიშაურის ველი. თიანეთში საქონელი მთელი წელიწადი არა სდგას. დროებით სხვა ადგილებში გადის. ამ შემთხვევაში საქონლის ჯიშის შერევა ადვილია, გამოკვლევა მაშინ ძნელია. კაიშაური კი მთელი წლით სდგას საქონელი, არსად არ გადის. ამიტომ იქა სჯობია. სექცია სხვა ჯიშის გამოკვლევას ვერ გადავა, სანამ ჩვენებური ჯიში არ იქნება გამოკვლეული.

ბეითალი **მრევლიშვილი**. არც ალვანი, არც თიანეთი და არც სხვა რომელიმე მხარე არ არის ისე მოწყობილი გამოსაკვლევად როგორც კაიშაური. სექციას, როდესაც ამ საკითხსა სწყვეტდა, სახეში ჰქონდა მეწველი, შენახული საქონელი. ეს ისეთი საქონელია, რომელიც ზამთარ ზაფხულ ერთს ადგილას რჩება, და ამის გამო ჯიში ინახება. კაიშაურში ჩვენა გვყავს ნამდვილი ქართველი ხალხი—მთიულები, რომელნიც ახლო არიან ფშაველებთან და ხევსურებთანაც. ჩვენ გვინდა ისეთი ადგილი სადაც მისვლა-მოსვლაც ადვილი იყოს, და ამით კულტურასთან განუწყვეტელი კავშირი გვქონდეს. შეგვეძლო აგვერჩია ხევსურეთი, მაგრამ ზამთრობით ეს ადგილები მოწყვეტილია. კაიშაურის ველთან მისავალი კი მშვენიერია. მთელ გუბერნიაში არ მეგულება ასეთი მოხერხებული ადგილი.

ბ. ხეთაგური. შეგროვდნენ სპეციალისტები და რასაკვირველია მათი დადგენილება კონკრეტიულია. ეხლა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ რა გავაკეთოთ.

ვ. რცხილაძე, ამ მოხსენებაში მოყვანილია საერთო შეხედულობა, რომლითაც შეიძლება ხელმძღვანელობა მოქმედების გეგმის შემუშავების დროს, პრაქტიკული მუშაობისათვის. ეხლა კრებამ უნდა გადასწყვიტოს იზიარებს თუ არა ამ შეხედულებას, ეთანხმება თუ არა, იმას რომ ასეთი ტიპის სადგური იყოს.

თავ. **ვახვახიშვილი**. სექციას ღორისა, ცხვრისა და სხვა საქონლის შესახებ არა ჰქონია ბაასი?

ვ. რცხილაძე. ჯერ ერთი საკითხი გადავსწყვიტოთ. ამას სხვებიც მოჰყვება, რადგანაც ეს საკითხი ეხება ჩვენ ალპიის ზონას, ამიტომ საკვების საკითხიც მოჰყვება. მაგრამ ყველა ეს საკითხი იქნება აღნიშნული ხარჯთაღრიცხვაში.

ი. ქუთათელაძე. სადგურის დაარსების საკითხი მეტად რთული საგანია და ეხლა მისი გადაწყვეტა შეუძლებელია.

ე. იოსელიანი. იქონია თუ არა სექციამ მსჯელობა იმის შესახებ, რომ სხვა ჯიშის საქონელს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს? ჩვენებური ქართული ჯიშის ძროხა წლიურად 50 ფუთ რძეს იძლევა. არის კი ისეთი ჯიში, რომელიც წლიურად 150 ფუთ რძეს იძლევა.

გედევანიშვილი. როდესაც სექცია არსდებოდა, ჩვენ სახეში გვქონდა მცხოვრებლების დახმარება. ის საქონელი კი მთებში არ გამოდგება და ძლიერ ძვირიც არის.

თავ. **ვახვახიშვილი** და **იოსელიანი** წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ საკითხი ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე ადრე გადასწყდეს.

ბ. ხეთაგურს წინადადება შეაქვს საკითხი პრინციპიალურად ეხლავ გადასწყდეს.

დ. ვაჩნაძე. ჩვენ მუდამ სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდებით ხოლმე. სექციამ წარმოადგინა თავისი მოხსენება და ჩვენ კი არ ვიცით როდის გამოირკვევა საკითხი. საბჭომ მიანდო სექციას. სექცია გულმოდგინედ მუშაობდა. ამ საკითხის გამორკვევას ოთხი საღამო მოანდომა. ეხლა კი წინადადებას იძლევიან საკითხი ხელახლა გამოირკვეს. ყოველ შემთხვევაში საჭიროა განსაზღვრულ გადაწყვეტილებამდე მივიდეთ. დრო უკვე მუშაობის დაწყებისა. ჩვენ კი გეგმა არა გვაქვს შემუშავებული. ვისაც სურდა დაწვრილებით ცნობების გაგება, ის სექციის სხდომებზე მოვიდოდა. მე პირადად თიანეთის მაზრის მომხრე ვიყავი, მაგრამ სექციის სხდომების დროს დავრწმუნდით, რომ კაიშაურის ველზე მუშაობა მეტს ნაყოფს მოგვიტანს.

ბ. ხეთაგური. ჩვენ მუდამ მზადა ვართ გადავდოთ საკითხი შემდეგისათვის. საკითხი გამორკვეულია და დამტკიცება კი არ გსურთ, ჩვენ ვხედავთ რომ სპეციალისტები მუშაობდნენ სინდისიერად; საჭიროა ან მივიღოთ მათი მოსაზრება ან უარ ვჰყოთ.

ი. ქუთათელაძე. ეს იმიტომ რომ ასე უცბად მეტად რთულ და სერიოზულ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. იმიტომ კი არა, რომ არ გვსურს, პირიქით მადლობელი ვართ სექციის ასეთი სინიდისიერი მუშაობისთვის. მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად საბუთები არა გვაქვს,

კამათი მოისპო და თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს. მიიღონ მოხსენება თუ უარჰყონ.

საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა მოხსენება მიღებულ იქნას. დასასრულ კრებამ დაადგინა ახლო მომავალში მოიწვიოს წევრთა საზოგადო კრება. საზოგადო კრების მოწვევას გადასწყვეტს საბჭოს კრება, რომლის შესახებაც ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 81.

სასამართლო

469 ათასი მანეთის გატაცება შუა-აზიის რკინის გზაზე.

ტფილისის სასამართლო პალატაში 21 დეკემბერს დაიწყო განხილვა ეგრედ წოდებულ „ასხაბადელების“ საპელაციო სამმარ. საქმის განხილვა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ ჩვენი ანგარიშებიდან; ეს საქმე პირველად ოლქის სასამართლომ გაარჩია შარშან. სამართალში მიცემულნი იყვნენ: ნიკოლოზ ივანოვი, თოფურიძე, გრიგოლია, ხავთასი, კოსტავა, მიხეილ ივანოვი, მესხი, ჯაჯანიძე, ჟღენტი, ფირცხალაიშვილი, ლილუაშვილი, ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი კაპ. ერმოლოვი და პორუჩიკი ოთხმეზური.

პირველ თერთმეტ კაცს ბრალდებოდა, რომ შეადგინეს მძარცველთა ბრბო რომელმაც შუა აზიის რკინის გზაზე საფოსტო ვაგონი გასტეხა და გაიტაცა 469 ათასი მანეთი. ეს ფული მიჰქონდათ სახელმწიფო ბანკის ასხაბადის განყოფილებაში. უკანასკნელ ორს ბრალად ედებოდა ის, რომ მათ ნაძარცვი დაჰფარეს, რაც გამოიხატა იმაში, რომ ბრბოს წევრებისაგან მიიღეს გატაცებული ფული, ახალი ქაღალდის ფული დაახურდავეს და ნაწილი თითონ მოიხმარეს.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: ნ. ივანოვს, თოფურიძეს, გრიგოლიას და ხავთასის 5 წლის კატორღა; ერმოლოვს, ოთხმეზურს, კოსტავას, მიხ. ივანოვს, მესხს, ჯაჯანიძეს და ჟღენტს—ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლით გაგზავნა; ფირცხალაიშვილს 3 წლის ციხე. ლილუაშვილი კი გაამართლა; მაგრამ პროკურორმა მისი გამართლება განასაჩივრა.

სასამართლო პალატას თავმჯდომარეობს ბ. იონინი, წევრებად არიან: უთნელიშვილი და ორლოვსკი. სასამართლო პალატამ მთელი დღე მოხსენების კითხვას მოანდომა. პალატაში ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები: ნ. ივანოვს—ზელენსკი და ბაგდანოვი: თოფურიას—გრუზენბერგი, გრიგოლიას—კაჩუხოვი, ხავთასის—ბაგდასაროვი, ერმოლოვს-ტურკევიჩი, მ. ივანოვს—ბროდსკი, ოთხმეზურს - მოსკოველი ვექილი მალიანტოვიჩი, მესხს—შ. მესხიშვილი, ჯაჯანიძეს—დოლუხანოვი, ჟღენტს—ბარათაშვილი, ლილუაშვილს—მესხიშვილი.

თავ. მ. ორბელიანის, და სხვათა საქმე.

21 დეკემბერს ოლქის სასამართლომ 11 საათიდანვე დაიწყო თათბირი და მხოლოდ პირველ საათზე გამოიტანა განაჩენი. ყველა ბრალდებული დამნაშავედ იცნო. კან. დებ. 1485 მუხლის ძალით მიუსაჯა. თავ. გ. ი. ამირაჯიბს, როგორც წამქეზებელს, დაპატიმრება გაუპტვახტში 1½ თვით, თავ. ორბელიანს, ლ. წერეთელს, ა. ყანჩელს და ა. მაყაშვილს დაპატიმრება გაუპტვახტთან თითოს ორი კვირით, მ. ლომჯანიძეს — დაპატიმრება ორის კვირით პოლიციაში.

„ასხაბედელები.“

22 დეკემბერს მთელი სხდომა სასამართლო პალატამ მოხსენების წაკითხვას მოანდომა. 22-ს საქმის მოხსენებისა და სააპელაციო საჩივრის კითხვა 12 ნახ. საათზე დასრულდა.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ოთხმეზურის მიერ გამოწვეულ მოწმეს თავართქილაძეს, რომელმაც განაცხადა: ოთხმეზურმა გადასცა ჩემ მიერ მანჯერიაში ყოფნის დროს 15 ათასი მანეთი, ფული ბლომად ჰქონდა წინადაც ქაღალდს თამაშობდა. ერთხელ ღენერალს 5000 მანეთიც კი მოუგოვო. 1 ნახ. საათზე სხდომის განახლების შემდეგ ვრცელი საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა ბრალმდებელის თანაშემწემ **კოროლიოვმა**. იგი ამტკიცებდა ბრალდებულთა დანაშაულს

(დასასრული იქნება).

ღია ბარათი.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ, ამ ღია ბარათს ადგილი დაუთმოთ პატივცემულ „სახალხო გაზეთ“-ში. სამწუხაროდ, აკაკის კანდიდატურის გაშავების საქმე მრავალმა პირმა, ვითომდა მართლმორწმუნე ქართველმა, არჩილ ჯორჯაძის და მის თანამოაზრეთა საწინააღმდეგოდ გამოიყენა, რამაც საზღვარ გარედ მყოფ ქართველებზედაც არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

ვინ არიან ეს პირნი? რა განზრახვით აცხობენ გულის წყრომას?

მათ განა გულდ შესტკივათ იმის გამო, რომ აკაკის კანდიდატურის გაშავებასთან ერთად დაითრგუნა თვით აკაკის მისწრაფება?—მისწრაფება მამულის სიყვარულისა, სამშობლოს აღორძინებისა და ივერიის ძველი დიდების აღდგენისა?

არა და არა! რადგან თვით ეს აურზაურის ამტეხნი ამ წმინდა მისწრაფების გამო აკაკის „კაცი ჰამიას“ და „შოვინისტს“ ეძახოდნენ და კვლავ დაუძახებენ როდესაც დასჭირდებათ.

ეს მისწრაფება კი ხომ აკაკის სული და გულია. მისი სიცოცხლე და მისი არსებობის აზრი. ეს ასე იყო, ასე არის და ასეც უნდა დარჩეს, სანამ აკაკი დიდებულ აკაკის სახელს ატარებს.

აღშფოთებას უცხადებენ არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც თვით აკაკის სულის კვეთების საუკეთესო დაგვირგვინებათაგანია და რომლის მისწრაფებაც ეგრევე მამულის სიყვარულს და სამშობლოს აღორძინებას შეადგენს.

მაშ რა მიზანი აქვს ამ ყიჟინას თუ არა ის, რომ ხალხის თვალში ეროვნულ მისწრაფების გონივრულად მატარებელი დაამცირონ, სახელი გაუტეხონ, რათა შემდეგ თავიანთ გადაგვარებულს და მახინჯ სულს ფართო გზა გაუხსნან ქართველ ერში სანავარდოდ.

არჩილ ჯორჯაძისადმი გულის წყრომა და აღშფოთება („პროტესტი“)—ეს მოშხამული ისარია თვით აკაკის გულისკენ გადასროლილი და ბრმა უნდა იყოს ის ადამიანი, რომ ეს ვერ იგრძნოს, ვერ დაინახოს.

ამ „პროტესტს“ იეზუიტური სუნი უდის და აკაკის სახელით ის სათაყვანებელი ტაძარი იგინება, რომლის ერთ ქურუმთაგანი თვით აკაკიც არის.

ა. შანშიაშვილი.
მ. შალამბერიძე:
ბერლინი. **გ. მაჩაბელი.**

ბალკანეთის ომი

[illegible]

21 დეკემბერი.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, საბერძნეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიის დელეგატები სრულიად ეთანხმებიან დანევის აზრს, რომ თუ ოსმალების მიერ წარმოდგენილი რუქა არ შეესაბამება მოკავშირეთა მოთხოვნილებას, მოლაპარაკება შესწყვიტონ.

ლონდონი. ოსმალებმა შეიტანეს თავიანთი წინადადება ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვრის თაობაზე. შემდეგი სხდომა 22 დეკემბერს მოხდება.

ლონდონი. მოკავშირე დელეგატებმა წარადგინეს ულტიმატუმი კრიტეს, ადრიანოპოლის და ეგეის კუნძულების თაობაზე. თუ ოსმალნი გარკვეულ პასუხს არ მისცემენ 4 საათამდე, მოლაპარაკება შესწყდება. ოსმალეთის დელეგატებმა სთხოვეს პასუხის ვადა მისცენ 22 დეკემბრამდე. მოკავშირე დელეგატები დესთანხმდნენ.

ბალკანეთი და ევროპა.

ლონდონი. ელჩთა კონფერენციის მუშაობა, „ტაიმსის“ სიტყვით სასურველად მიდის.

გაზეთებიდან

სტამბოლი. სულთანმა ქიამილ-ფაშას წინადადება მისცა, სამსახურიდან გადადექ, თუ ადრიანოპოლს მოკავშირეებს დაუთმობო. ქიამილმა პირობა მისცა ყოველ ღონისძიებას ვიხმართ ადრიანოპოლის შესანარჩუნებლადაო.

ოსმალთა დელეგატებს ლონდონში ახალი ინსტრუქციები გაეგზავნათ: უარი მაკედონიის გამო, ოსმალეთის თანხმობა 18 მილ. გირვანქა სამხედრო კონტრიბუციის გადახდისა, კუნძულების შენარჩუნება ავტონომიით და ადრიანოპოლის შენარჩუნება.

ცეტინიე. სკუტარიდან ოსმალთ კვლავ სცადეს მოალყეებზე თავდასხმა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ბალკანეთი და ევროპა

ლონდონი. ალბანელთა დელეგაციამ გრეის მემორანდუმი გადასცა რომლითაც მოითხოვდნენ ალბანეთის დამოუკიდებლობას. ალბანეთის საზღვრების, მემორანდუმის მიხედვით, ჩერნოგორიამდე და პრევეზამდე უნდა იყოს. ალბანეთის ტერიტორიაში უნდა შედიოდეს იპეკი, მიტროვიცი, პრიშტინი, უსკიუბი და მონასტერი. გაზეთების სიტყვით მემორანდუმი ელჩთა კონფერენციას წარედგინება.

ბელგრადი. ავსტრიის მთავრობა ნებას აძლევს სერბიას გასავალი კარი

თხოვნილებას შეადგენს საქართველოსთვის ის, რომ მართლმსაჯულება ქართველებისთვის მის სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. სკოლა და სწავლა-აღზრდის საქმე თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ეს თავისუფლება ქართველებისთვის დაჰკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, თუ სწავლა ამ სკოლაში მოსწავლეთათვის გასაგებ სამშობლო ენაზე არ იწარმოებს. რუსეთში რომ დამყარდეს თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა და კავშირებისა, ჩვენ დაკმაყოფილებულად ვერ ჩავთვლით ჩვენს თავს, თუ ამ თავისუფლებასთან დაკავშირებული არ იქნება თავისუფლება სამშობლო ენის ხმარებისა კრებებზე. მე ეს რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე იმ აზრის დასასურათებლად, რომ რუსეთისთანა ქვეყანაში, სადაც ბევრი სხვა და სხვა ერი სცხოვრობს, ყოველნაირ პოლიტიკურ თავისუფლებას, ყოველნაირ სახელმწიფოებრივ განახლებას აუცილებლად რთული, მრავალ-ფეროვანი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რათა სახელმწიფოებრივ რეფორმებს რეალური მნიშვნელობა ჰქონდეს, და არა მოჩვენებითი. ჩვენ, ქართველებს, მხოლოდ იმდენად შეგვიძლიან დავაფასოთ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების რეფორმები, რამდენადაც ჩვენს პოლიტიკურ სნეულებათაც განკურნებენ. მაგრამ მე მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ქართველებს არავითარი პოლიტიკური ანგარიშები არა აქვს გასასწორებელი რუსის ინტელიგენციასთან, მით უფრო, რუსის ხალხთან. ჩვენ ისტორიულად და პოლიტიკურად რუსის ბიუროკრატიამ დაგვჩაგრა. რუსის ბიუროკრატიამ მიიყვანა ჩვენი მშვენიერი კუთხე დაღუპვამდე. ამ ასი წლის წინად საქართველო თავის ნებით შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს და ამით დაედო საფუძველი რუსეთის გაძლიერებას ამიერ კავკასიაში. საქართველო შეუერთდა განსაზღვრულის, შეთანხმების აქტში აღნიშნულ პირობით და ამიტომ სრული უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ რუსეთის ბიუროკრატია პოლიტიკურ კეთილ-სინიდისიერებას გამოიჩენდა. მაგრამ, საუბედუროდ, რუსის ბიუროკრატიის პირველი ნაბიჯის შემდეგვე დარწმუნდა, რომ სასტიკად იყო მოტყუებული. გაჩნდა თუ არა საქართველოში, ბიუროკრატიამ მაშინვე დაარღვია შეთანხმების დროს დადებული პირობა და ქართველ ხალხს მფარველისავით კი არ მოექცა, არამედ როგორც უცხო ქვეყნების დამპყრობი, როგორც მტერი. ასი წლის განმავლობაში რუსის მთავრობა სრულიად განუსჯელად, უკონტროლოდ, ქართველ ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად, განაგებს საქართველო და, აი, ჩვენ კიდეცა ვხედავთ ამ უწესრიგო მართვა-გამგეობის შედეგებს. ვხედავთ, რა ცოტა პოლიტიკური გონიერება გამოიჩინეს რუსის მთავრობის წარმომადგენლებმა, რა სამწუხარო მდგომარეობამდე მიიყვანეს ქვეყანა, რომელმაც თავისი ბედ-იღბალი ასე ნდობით ჩააბარა მათ. გაღარიბება და გაღატაკება, აი ტერმინი, რომლითაც შეიძლება დახასიათდეს უბედურ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. აღარ მოიძებნება საქართველოში არც ერთი წოდება, არც ერთი ნაწილი მცხოვრებლებისა, რომელიც ადამიანურის ცხოვრებითა ცხოვრობდეს. გლეხკაცობა, მუშები, სამღვდელოება, ერთ დროს განებივრებული თავად-აზნაურობაც კი,—ყველა თავისებურად იტანჯება ბიუროკრატიულ რეჟიმისა და მასთან დაკავშირებულ თვითნებობის წყალობით. მახინჯმა საგლეხო რეფორმამ გლეხკაცობისთვის აუტანელი პირობები შეჰქმნა. ქართველი გლეხის აღმაშფოთებელი მიწის სიმცირე უკვე ყველასაგან აღიარებული ფაქტია. საკმარისია მოგაგონოთ, რომ ევროპის რუსეთში, გლეხთა განთავისუფლების დროს, სულზე 3, 4 დესეტინა მიუზომეს, ქართველ გლეხს კი მხოლოდ 0,73, ე. ი. ქართველმა გლეხმა განთავისუფლების დროს მიიღო ხუთჯერ ნაკლები რუს თანამოძმეზე. ეგრედ წოდებულ სახელმწიფო გლეხობის მდგომარეობა უკეთესი არ არის. რუსის ბიუროკრატიამ თუ ქართველ გლეხთა ექსპროპრიაცია მოახდინა ქართველ მემამულეთა სასარგებლოდ, იმავე ბიუროკრატიამ სახელმწიფო გლეხთა ექსპროპრიაცია მოახდინა რუსის ხაზინის სასარგებლოდ. მიწის სიმცირით შეწუხებული ნაწილი ქართველ გლეხებისა სამუშაოს საშოვნელად დაძრწის მთელ ამიერ კავკასიაში, მაგრამ ვერსად სამუშაოს ვერა შოულობს, რადგანაც მრეწველობა განვითარებული არ არის. სახაზინო დაწესებულებებში კი, მაგალითად, რკინის გზებზე, სამუშაოს უქონლობას ზედ ემატება გამარუსებელი პოლიტიკა, რომელიც ყოველგვარ სამუშაოს უკარგავს ქართველ მუშას. ქართველ საზოგადოებას, რომელსაც ეკლესიის ავტოკეფალიური მართვა-გამგეობა სწყურიან, სისტემატიურ დევნას განიცდის, რაც ასეთსავე სისტემატიურ გაბოროტებას იწვევს. განებივრებული თავად-აზნაურობაც კი საბოლოოდ განადგურდა და გაღარიბდა. თან და თან იმათაც გამოეცალათ ხელიდან მიწები. მაგრამ საშინელება ის არის, რომ მიწები გადავიდა არა ქართველ გლეხების ხელში, რომელნიც უმიწობით ჰკვნესიან, არამედ ხაზინისა. ხაზინა კი არავითარ საშუალებას არ ერიდება, რომ როგორმე გამოჰგლიჯოს მიწები ადგილობრივ მკვიდრთ. ადმინისტრატიულის ძალ-დატანებით, საყორლნო და სასამართლოს პროცესებით, საგლეხო ბანკის დახმარებით და სხვ. ხაზინა სცდილობს რაც შეიძლება შეამციროს ქართველ გლეხის მიწათ-მფლობელობა. ამ რიგად ხაზინას ურიგდება მიწის დიდი ფონდი, რომელსაც გერმანიიდანა და ანატოლიიდან გადმოსახლებულებს ურიგებს. უკანასკნელ ხანებში კი რუსის მთავრობა სცდილობს ქართველების მიწები რუსებს დაურიგოს. ამასა სჩადის მხოლოდ პოლიტიკურის მოსაზრებით, რადგანაც კავკასია, ჰავის მხრით, სრულიად შეუფერებელი და დამღუპველი ქვეყანაა რუსებისათვის. დარწმუნებული ვარ ამის შემდეგ თქვენც ვეღარ დამიჯერებთ, თუ ვიტყვი, რომ ქართველი კმაყოფილია თავისი ბედით, რომ იგი ლოცავს რუსულ პოლიტიკას. არა, ქართველი ხალხი არა თუ კმაყოფილია არ არის, არამედ თანდათან იგებს თავის მძიმე, თითქმის აუტანელ მდგომარეობას. მთელი საუკუნის პოლიტიკურმა გამოცდილებამ ქართველი ხალხი დაარწმუნა, რომ რაც უფრო მეტს იმედებს დაამყარებს რუსეთის ბიუროკრატიაზე, რაც უფრო მეტად ვირწმუნებთ, რომ ბიუროკრატიას შეუძლიან მოუაროს ისეთს ქვეყანას, რანაირიცაა საზოგადოდ რუსეთი და კერძოდ საქართველო, რაც უფრო ლოიალური და მორჩილი იქნება, მით უარესია. ლოიალობამ იქამდის მიგვიყვანა, რომ უყურადღებოდ მოგვექცნენ, მორჩილებამ კი დაჰბადა აბუჩად აგდება ქართველ ხალხის არსებითი ინტერესებისა. სრულიად დამოუკიდებლად ამ ფსიხოლოგიისა, ამ პოლიტიკურ განწყობილებისა, ქართველი ხალხისათვის სრულიად ცხადი გახდა, რომ თანამედროვე ორგანიზაცია მართვა - გამგეობისა არამც თუ მის პოლიტიკურ მოთხოვნილებებს არ შეეფერება, არამედ არსებითადაც ისეთია, რომ ვერც შეუძლიან განკურნოს დაავადებული ქვეყანა; ვერ შეუძლიან მაშინაც კი, მთავრობის წარმომადგენელნი რომ კეთილის სურვილებით გაიმსჭვალონ. სახელმწიფო სათათბიროს ბ-ნნო წევრნო! არც ერთს ხალხს არ შეუძლიან თავის ნების—დ აღუშფოთებლად მიეგებოს საკუთარ განადგურებას, სიკვდილს. მეორის მხრით, ვერც ერთი ხალხი ვერ მოახერხებს ფეხზე დადგომას, თუ თავის საკუთარ არსება- [illegible]

ურნეოსი, ისე საზოგადოებრივი—პოლიტიკურისა, ე. ი. საჭიროა შემოღება პოლიტიკურ ავტონომიისა, რადგანაც მხოლოდ ამ ავტონომიას შეუძლიან მისცეს საშუალება თავისუფალ განვითარებისა როგორც მშრომელ კლასებს, ისე მთელ ხალხს. რაც ვერ შეეძლო გაეკეთებინა რუსის ბიუროკრატიას, უნდა გააკეთოს რუსის საზოგადოებამ, ხალხმა. ჩვენ, ბატონებო, ასი წელიწადი ვამყარებდით იმედებს რუსის მთავრობაზე, მაგრამ მან არაფერი გააკეთა საქართველოსთვის. მაშ ეხლა დაუჯერეთ ქართველ ხალხს, რომელიც რუსეთიდან არსად აპირებს წასვლას. მეტსაც ვიტყვი. ერთად ერთი საფუძველი მისი მომავალი არსებობისა ის არის, რომ იგი რუსეთის იმპერიაში დარჩება. მაგრამ სამაგიეროდ უნდა მისცეთ საშუალება თავისუფალ ცხოვრებისა, როგორც ესა ჰსურს თავისთვის მთელს რუსეთს.

ბატონებო! 5 დეკემბერს თქვენ ერთსულოვნად დაუკარით ტაში მი- [illegible]

ჰქონდეს მხოლოდ ზემლინით და მიტროვიცით.

გაზეთებიდან.

ლონდონი. ხმებია, რუსეთის დიპლომატები მოითხოვენ სკუტარი ჩერნოგორიას აკუთვნონო.

პარიზი. გაზეთების ცნობებით, რუსეთს მოლაპარაკება ჰქონდა ავსტრიასთან სამხარ მზადების შეყენებაზე, მაგრამ უარი მიიღო.

ვენა. ავსტრიის მთავრობამ ევროპის სახელმწიფოთ ავტონომიურ ალბანეთის რუკა წარუდგინა, რაშიაც ალბანეთის საკუთრებად აღნიშნულია სკუტარი, იპეკი და პრიზრენი.

გაზეთების ცნობით, მთავარ ეპისკოპოსი ორგანიანი ლონდონში მიდის კონფერენციის წინაშე საშუამდგომლოდ, რათა სომეხთა გაჭირვება გაითვალისწინონ.

ბერლინი. ევროპის დიპლომატია სცდილობს რუმინიისა და სერბიის შუღლი მოსპოს მაკედონელ რუმინთა მდგომარეობის გამო.

თუ ომი მოხდა, სერბიის დაცემა აუცილებელიაო.

ვენა. რუმინია ბულგარეთისგან სილისტრიის დათმობას სახოულობს, პასუხისათვის ერთი კვირის ვადა მისცა. იგი აცხადებს, რომ ჩემს მოთხოვნილებას ყოველგვარ საშუალებით დავიცავო.

ხმებია, ვითომ სუხომლინოვს ბერლინში მოეთხოვოს რუს-ავსტრიის საზღვარზე ჯარის შემცირება, მაგრამ ბალკანეთის საკითხის დაწყნარებამდე ავსტრიას უარი უთქვამს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

21 დეკემბერი

საზღვარ-გარედ

ჩერნოვიცი. სეიმს წარუდგინეს გამომძიებელ კომისიის მოხსენება, უკრაინის რეიფეზელის კასებში მომხდარ ბოროტ მოქმედებათა თაობაზე. ბევრი უკრაინელი საზოგადო მოღვაწე არის საქმეში გარეული.

ტოკიო. აპირებენ იაპონიაში გაიყვანონ სახელმწიფო რკინის გზები 215 მილის მანძილზე. გზების გაყვანას 1913 წელს შეუდგებიან.

ტისას და კაროლის დუელი.

ბუდაპეშტი. ტისას და კაროლის დუელის მიზეზი შემდეგი ყოფილა: კაროლმა არ უპასუხა ტისას სალამზე. კაროლი წინააღმდეგი იყო ტისას მოქმედებისა როცა მან ოპოზიცია სხდომის დარბაზიდან დაითხოვა. კაროლი არ დაემორჩილა პარლამენტის თავმჯდომარეს და პოლიციამ ძალად გაიყვანა. მას შემდეგ კაროლი, პოლონიდა კოვაჩი ტისას სალამს აღარ აძლევდა. დუელი ხმლებით მოხდა. კაროლი რამდენიმე ალაგას დაიჭრა.

რუსეთი.

პეტერბურგი დაიჭირეს გაზეთ „ლუჩის“ მე-81 ნომერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა იალტის მთავარ მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი დუმბაძე.

სოლქო სასამართლომ გარდაუწყვიტა მწერალ როზანოვს ათი დღის ციხე წიგნისათვის „უედინიონნაია“.

ჩერნიგოვი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე მაკლაკოვი კიევში წავიდა.

მოსკოვი. დოსტაქართა კრებამ დაადგინა შემდეგი კრება მოიწვიოს პეტერბურგში 1913 წელს.

მოსკოვი. დანტისტთა საქმის გარჩევა დასრულდა. 280 ბრალდებულში 79 გაამართლეს. დანარჩენთ მიუსაჯეს თითო წლის ციხე. ამასთანავე დაადგინეს შუამდგომლობა აღძრან მეფის წინაშე შეუმსუბუქონ სასჯელი.

პიატიგორსკი. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა შემოიღოს საყოველთაო სწავლა. ამისთვის გადასდო 212.000 მანეთი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 23 დეკემბერს. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მსახიობნი წარმოადგენენ ბ-ნ ვ. რ. ყიფიანის 5 მოქმედებიან დრამას „სამეგრელოს მთავარი ლევან“. მონაწილეობს მთელი დასი.

მეფე ლირი

ბენეფისი ვალ. გუნიასი.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ პატარა წერილში მსახიობთა თამაშს საკმაოდ ვერ შევეხები, ხოლო მინდა წარმოდგენის მიერ შექმნილ საზოგადო შთაბეჭდილებაზე ორი სიტყვა ვსთქვა.

ძვირად თუ ვისმეს ეხერხება პიროვნების ძლიერისა და უტეხის ნების, მის ღრმა განცდათა ისეთი აღწერა, როგორც უკვდავ მსოფლიო გენიოს შექსპირს.

მისი გმირები ყოველთვის განსაკუთრებულ თვისებათა მატარებელნი არიან, არა მიწიერნი და ამის გამო ყოველი მათგანი ზეობის ილიუზიასა ჰქმნის; ამასთანავე საინტერესოა მანერა შექსპირისა, რომლის საშუალებითაც იგი უფრო ნათელ ჰყოფს თვის ძლიერ პიროვნებათა თვისებების გამოაშკარავებას.

ამ შემთხვევაში იგი, უმთავრესად, ორ გზას მიმართავს: პირველს გზაზე იგი საშინელ და აუარებელ დაბრკოლებებს უყენებს წინ ამ ძლიერ პიროვნებებს და მათ წინააღმდეგობაში და ბრძოლაში ჰშლის პოტენციალურ ძლიერებას, რომელიც თავის გრანდიოზობით იტაცებს მაყურებელს. მეორე გზა, ეს ჩვეულებრივი ანალიზისა და თვის ძალთა აწონ-დაწონის გზაა, რომლის დროსაც მისი სულის სიმტკიცეს, სიამაყეს და ძლიერებას ნათელსა ჰყოფს.

პირველი მათგანი ჰქმნის უმთავრესად მრავალფეროვან ფაბულას, ხოლო მეორე ამ ფაბულის განვითარების საძირკვლად ხდება.

ამ ორ გზის შეთანხმება და ჰარმონია, ჩემის აზრით, ისე ძლიერად ვერვინ მოახერხა, როგორადაც შექსპირმა.

დღეს დროც სხვა გვარია და ასეთი რაინდულ, საგმირო ეპოსის ხასიათის შემოქმედება ადგილს უთმობს წვრილმანურ და პატარა მოძრაობას... დღევანდელი დრამა ამ წვრილმანობის გახვრთარება-დაპირდაპირებაშია.

ამიტომ ხდება, რომ თანამედროვე, მომაკვდავ, არა რაინდ, არა „ზეადამიანის“ გამოყვანა სცენაზე განსხვავებულ პიროვნებასა ჰმობს, გარეგნული ბრძოლა დიდ დაბრკოლებებთან, უძლეველ მოვლენებთან, რომელთაც მიმართავენ ხოლმე ეფექტებისათვის თანამედროვე მწერლები,—ვერ ღებულობს ბუნებრიობის სახეს... ეს იმასა ჰგავს, რომ უნებო, უპიროვნო, უძლურ „თათქარიძეს“ ტარიელის როლი აკისროთ და ნესტან დარეჯანის გამოხსნა დაავალოთ. აქ ტრაგიზმი კომიკურ ფაბულაში იცვლება და თვის არა ბუნებრივობით უადგილო სიცილს იწვევს.

ამ რიგად თანამედროვე მწერალთა უძლურება სწორედ იქ იწყება, საცა შექსპირის ძლიერება გამოსჭვივის. ძლიერ პიროვნების, ამაყ და უტეხ „ლირი“-ს გამოსახვაც ძლიერს ნიჭს ითხოვს, რომლისათვისაც ყოველი იდუმალი განცდა მეფე ლირისა ნათელია. სწორედ ასეთი იყო შექსპირიცა, მაგრამ საჭირო იყო იმ სიტყვათა და წინადადებათა ძლიერების გადმოცემა თარგმანშიც, რომელიც ორიგინალში სჩანს, მით უმეტეს დღეს ხდება ეს ყურადღების ღირსად, როცა ქართული ენა ათვალისწუნებულია მეტად და მის ძლიერებაში და ღირსებაში ბევრს, ეჭვი ეპარება.

სწორედ ასეთია უკვდავ ილიასა და ივ. მაჩაბლის თარგმანიც და, როცა პიესას ვუცქერდი, უმთავრესად ამას განვიცდიდი, რომ ჩვენს წინა მე მოჰქრის ძლიერი, წმინდა ნაკადული... ყოველი სიტყვა მარმარილოსაგან ნაქაიდაკვეთი იყო, და შესანიშნავი ის ხდებოდა, რომ ამ ძლიერმა სიტყვებმა შეუდარებელი მტკიცე იაოლი ჰპოვეს მობხეფისეს როლში...

ლირის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა მკვეთრი, მჭრელი, ამაყი და უტეხი იყო, ვით თვითონ მეხი, ბუნება. განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნი გუნია იმ ადგილებში სადაც მისი დამარცხება აშკარაა, მაგრამ იგი მაინც არ დრკება და წყევლითა და კრულვით უღადრავს გულს თვის მტრებს და ბუნებას, სტიქიის წინააღმდეგობას თვითვე იწვევს; ამ ადგილებში მშვენიერი, ძლიერი, ფოლადის ენა აშკარავებდა ამას.

მაგრამ, სამწუხაროდ გუნიამ მხოლოდ ეს შთაბეჭდილება შექმნა, რომ ქართულ ენას შესძლებია სიამაყისა და რაინდობის თვისებათა დასახვა.

საზოგადოდ კი მან თვითონ ლირი ვერ დაგვისურათა... მსახიობებმა უნდა ისეთი ილიუზია შექმნან, რომლის დროსაც განიცდიდეთ, რომ თქვენს წინ ლირი სდგას და საკუთარის ენით ლაპარაკობს. ხოლო ამ შემთხვევაში უმთავრესად ვამჩნევდით, რომ ჩვენს წინ ბ-ნი გუნია იდგა და ილიას და მაჩაბლის მძიმე, მტკიცე ენით ლაპარაკობდა.

ეს, უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ აქტიორის ბუნება ეფექტებისაკენ იწევს ინსტინქტით და სულიერ ხაზ-ტეხილების გადმოსაცემად მას საკმაო ძალა არ შესწევს. ამიტომ ლირი იგი მეფე არ იყო და მეფეს ლირად ვერა სცნობდით, რადგან მისი სიღრმის ძლიერება, რომელსაც ნახევრად აჩენს ძლიერი მეფის პიროვნება, მან სულ ერთიანად გადამალა და ყველა მოქმედებებში ამგვარი იყო, „ზერელე“, რომელსაც ზეობის თვისებანი აკლდა.

მე არ მახსოვს, რომელი მსახიობი ვის როლს ასრულებდა, მაგრამ ჩემს წინ პროგრამა დევს, საცა ყველა ეგ აღნიშნულია... მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ამ შემთხვევაში: ჟღვიძე, მატარაძე, ციციშვილი, აბდუშელი და სხვ. მრავალნი სავსებით ერთგვარნი იყვნენ და თავისუფლად შეეძლო რომელიმე მათგანს მეორესათვის სიტყვა წაერთმია და თავისის ფსევდო-კლასიკურის პათოსით წარმოეთქვა. უბედურება ის არის, რომ გარდა ქ. მესხისა, გედევანიშვილისა, მალიკაშვილისა ინდივიდუალობა თითქმის ვერავინ დაგვანახვა და ყველა მათგანის როლი ერთგვარობის ხასიათს ატარებდა; ხოლო შექსპირის ინდივიდუალობა ყოველ სიტყვაში უნდა აშკარა იყოს, ამიტომ მისი გმირები მუდამ განსხვავებულნი არიან.

ბ-ნ ზარდალიშვილი კარგა ხანია აღარ მინახავს სცენაზე და უნდა აღვნიშნო საკმაოდ წასულა წინ; მაგრამ, როგორც მისი აგრეთვე ქ-ნ დავითაშვილის წინსვლა ფრიად ცალმხრივია და ერთგვაროვანი. აქ ინტეგრაციასთან პარალელურად არ მიდის ნიჭის (სპენსერის ენით რომ ვსთქვათ) დიფერენციაცია.

ეს თითქმის ყველას სენია და ამის გამო აშკარა ხდება პირველ დალაპარაკების მ მიმოხვრისთანავე, რომ თქვენს წინ პიესის გმირი კი არა **სდგას,** არამედ მას **თამაშობს** ესა თუ ის მსახიობი.

ეს კი მეტად აფერხებს შესაფერ შთაბეჭდილების და ილიუზიის შექმნას.

მე კი, კერძოდ, დიდი მადლიერი უნდა დავრჩე, რადგან ასეთი მშვენიერის ენით დავსტკბი და დავისვენე წუთით მაინც.

კოდალა.

ქ. ბათომი. 16 დეკემბერს ადგილობრივს საკრებულოს დარბაზში „მოგზაური“-ს დასმა—ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგინა ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და „ბებრის საღერღელი“ დ. აწყურელისა. მოთამაშეთა შორის რა თქმა უნდა აღსანიშნავია ვასო აბაშიძე—რომლის ყოველი მიხვრა-მოხვრა ბეჭედს ასვამდა მის თამაშს. ყალაბეგაშვილი გიქუა კინტოს როლში საუკეთესო იყო, ელს უწყობდა ტანადობა და სიტყვა-პასუხი. მოიეოხებულად შეასრულა მსახური კოსტაის როლი კორიშელმა. ბეჟანიშვილისამ კარგად დაგვიხატა სულიერი ტანჯვა სოფლის საწყალი დედა-კაცისა. მებატონე დავითი (დადიანი) შესაფერი „კნიაზი“ იყო. არა უშავდა-რა ხარაზიშვილს. კარგად ჩაატარეს აგრეთვე ვოდევილი „ბებრის საღერღელი“, რამაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება. საზოგადოება კი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო აბაშიძეს გასტროლზე. „სამაგიეროდ იმავ ღამეს „თამარა გრუზინსკაიას“ ოპერეტაზედ“, მძაევსკის თეატრში თურმე ტევა არ იყო, იმდენი ხალხი დაესწრო.—რა თქმა უნდა მათში ბევრი ქართველობაც იყო. ვ. აბაშიძე კიდევ რჩება აქ და მონაწილეობას იღებს გედევანიშვილის „მსხვერპლში.

ტრ. ი—ძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

როგორც „ზაკ. რეჩ.“ ფურცელზე ქართული განცხადებიდან სჩანს, ამ ახლო მომავალში გამოვა ახალი საყოველდღეო საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ახალი დროება“. ამ გაზეთის თანამშრომელთა შორის მეც ალვუნიშნივართ. მაგრამ რადგანაც დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს, მე არ შემიძლიან იქ თანამშრომლობა. ამის გარდა კოლლეგია შემდგარა ისეთ წევრთაგან, რომ ჩემი იქ შესვლა ყოვლად შეუწყნარებელია. მე სრულებითაც არა მაქვს სურვილი, რომ ასე ადრევე ვუღალატო ჩემს credo-ს და ახალგაზრდათა დამფრთხობ წითელ მანტიად გადავიქცე. მეორეც, ჩემს აღთქმულს წერილების გაშვებას კოლლეგია არ ინდომებს უცენზუროდ, ესე იგი, მომთხოვენ წერილების ისე გადამუშავებას, რომ „არც ძრიელ მარჯვნივ იყოს, არც ძრიელ მარცხნივ“, (ეს ერთი ამ გაზეთის დამფუძნებელთაგანის სიტყვა გახლავთ). ასეთი საზომით კი ჯერ მე არასოდეს მიხელმძღვანელია. მით უმეტეს, ვერ ვიხელმძღვანელებ პრინციპიალურ წერილებში, სადაც ადამიანი იმათ უნდა ეჩვენოს საზოგადოებას, რასაც იგი მთელის სიგრძე-სიგანით წარმოადგენს. მაშ ვთხოვ „ახალ დროების“ ხელმძღვანელთ თავიანთ თანამშრომელთა რიცხვიდან ამომშალონ. ესეც არ იყოს, ჯერ დაგვაცადონ ცოტა, რას ნიშნავს მაგათი პროგრამა-მინიმუმი, გაგვაცნონ თავიანთი მიმართულება.

დ. კასრაძე.

ბატონო რედაქტორო, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა ულრმეს მადლობას მოახსენებს შუამთის მონასტრის ხაზინადარს იგუმენ ნიკოლოზს, რომელიც ეს ორი წელიწადია უსასყიდლოთ უგზავნის შემას ჩვენს ღარიბს სკოლას.

თავჯდომარის ამხანაგი

ალ. ვახვახიშვილი.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ალაგი დაუთმოთ შემდეგ სტრიქონებს: სოფ. სამებაში (გურია, ამაღლების საზოგადოება) ადგილობრივი მოწინავე საზოგადოების თაოსნობით შესდგა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოსძებნოს საშუალება სადგ. ნიგოითიდან (ამიერ კავკ. რკინის გზა) სოფ. ბერეჟეულამდე გზა ტკეცილის გასაყვანად. ეს გზა ყველა აწ არსებულ გზებზე უმოკლესი იქნება და ზემო გურიის დასავლეთის ნაწილს დაუახლოვებს საწარმოვო და კულტურულ ცენტრს და აგრეთვე გლეხობას გაუადვილებს წლიურ საზრდოს გადმოტანას მოსავლის მხრით მდიდარ ნიგოითის რაიონიდან. საზოგადოებისაგან ნდობით აღჭურვილ და საიმედო პირებისაგან შემდგარ კომისიას აზრად აქვს თხოვნით მიმართოს საგუბერნიო ადმინისტრაციას დახმარებისთვის და აგრეთვე ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, რადგანაც ამ გზაზე მდებარეობს ჯიხეთის დედათა მონასტერი. ზემო აღნიშნულმა კომისიამ თხოვნით მოგვმართა ჩვენ, თფილისში გადმოხვეწილებს, გაგვეწია მათთვის პირველი ნივთიერი დახმარება საქმის მოსაწყობად. აქ სიამოვნებით შეხვდნენ თავიანთ მოძმეთა წინადადებას და რამდენიმე კვირაში შეაგროვეს ერთმანეთშორის 157 მან. ამ თანხიდან 25 მან., უკვე გაგზავნეს საქმის დასაწყებად დანარჩენი 132 მანათი კი დროებით ჰიბარებული ექნება არსენ შოვნაძეს და საჭიროების დროს დაუყონებლივ გაიგზავნება სოფ. სამებაში კომისიის ხაზინადარის იორდანე ბურჭულაძის სახელზე. სხვა და სხვა ქალაქებში სამსახურში მყოფ თუ მოვაჭრე პირთა საყურადღებოდ ამით ვაცხადებთ, რომ შემოწირულება ამ დიად საქმისთვის მიიღება სოფ. სამებაში იორდანე ბურჭულაძის სახელზე დიდის მადლობით. მასთან გაახლებთ შემომწირველთა სიას: ევლახიდან: გიორგი სიხარულიძემ 25 მ. ხუთ ხუთი მანათი: არტემ სიხარულიძემ და ნიკო მდინარაძემ, სამ სამი ვიქტორ და კოწია მანთიძემ და ალექსი გოგელიამ; თფილისში: ირაკლი დოლიძემ 10 მან; თითომ ხუთი მანათი: სიმონ, ალათიმ და თადეოზ ბურჭულაძეებმა, ლადიმერ გორდელაძემ, სამსონ და გერასიმე წეროძეებმა, თითომ სამი მანათი: ამბაკო და იაგორ კობალაძეებმა, არსენ შოვნაძეს, ილიკო გოგელიამ, სპირიდონ, ისაკ და ალექსი ჟღენტებმა, იოსებ, ალექსი, მელიტონ, ფილიმონ, გრიგოლ წეროძეებმა, სერაპიონ თავაძემ, ვასილ, გაბრიელ, ილიკო, თომა ნიკიფორე, ნიკო, ეფრემ, თერაპო, ბენიამე ბურჭულაძეებმა, ორ ორი მანათი: ვარდენ და ივლიტე ბურჭულაძეებმა, თითო მანათი: ერმილე ბურჭულაძემ, პლატონ წეროძემ, ილია ჩიჩუამ.

ტფილისის კომისის წევრები არსენ შოვნაძე, ილიკო გოგელია, ნიკიფორე ბურჭულაძე, ბენიამე ბურჭულაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

SIROLIN
F. Hoffmann-La Roche & Co.

ვინც გაციებულია
და ჰსურს ფილტვების დას
ნეულება თავიდან აიცილოს
უნდა მიიღოს ხოლმე
სიროლინ „როშ“.

ისყიდება აფთიაქებ. და ყველ. სააფთიაქო მაღაზიაში.

მოიკითხეთ უსათუოდ სიროლინ „როშ“, თავისებურ ქარხნის გასახვევით.

მ. 66839 1629

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგასართოვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასხოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.

19 თეპერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:		დილით:
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ.	სპეკტიორი გ. მ.	. . .	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა.	. . .	10—11 ს.
	იაშვილი ა. ო.	. . .	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ.	. . .	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ.	. . .	12½—1½ ს.
სადოსტაქრო სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი.	. . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა.	. . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	. . .	9½—10½ ს.
საშარდე და გვამის სადოსტაქრ. სნეულებ.	გრიგორიანი ა. ი.	. . .	11—12 ს.
სნეულებ. საშვილ. და საბებით.	ექიმი-ქალი საუვარელიძე დ. გ.		11—12 ს.
	ლოლობერიძე	. . .	12½—1½ ს.
სნეულ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა.	. . .	12 12½ ს.
ცუდი სენი და კანის სნეულ.	შაპელნიკოვი გ. ი.	. . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ციძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი ფასებით. 1581

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის
მაღაზია
ამზადებს ქართული წიგნების ახალს
კატალოგს.
ვისაცა ჰსურს თავისი გამოცემა შეტანილ იქმნას ამ კატალოგში, ვთხოვთ გამოგზავნოს წიგნები საკომისიოდ. ცნობა მიიღება 1 იანვრამდე. 1141.

მიიღება ხელის
მოწერა



-ზედ.
ყოველ კვირეულ
საზოგადო-ეკონომიურ და სალიტერატურო ჟურნალ

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 3 და 2 მან.

ფასი: 1 წლ. 5 მ., 6 თვ. 2 მ. 75 კ., 3 თვ. 1 მ. 50 კ., 1 თვ. 50 კ., ცალკე № 10 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ 1 წლ 4 მ., 6 თვ. 2 მ. 50 კ., 3 თვ. 1 მ., 1 თვ. 40 კ., ცალკე № 10 კ.

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 25 კ. გადასაგზავნი. განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით. 1651.

მიიღება ხელის მოწერა
1913 წლისათვის
სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ (წელიწ. მე-6-ე).
1913 წელს ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. **ჟურნალში მონაწილეობას ღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.**
იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.
წლიური ფასი ჟურნალისა არის 4 მ., მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მ., საზღვარ-გარედ 6 მ. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის **იაკობ გოგებაშვილის** მოზრდილ **სურათს.**
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. **რედაქცია** სთხოვს ხელის მომწერლებს, დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.
მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. БОЦВАДЗЕ. რედ.-გამ. ლ. გ. ბოცვაძე. 1649

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

ოცდა მეოთხე წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირება 4 მან. ქალაქს გარედ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრად დასურათებული საყმაწვილო წიგნი „ჩვენი მეგობრები“.

ხელის მოწერა მიიღება ჯეჯილის რედაქციაში და საკუთარ აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Редакц. Грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

1621 რედაქტ.-გამომცემელი **ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველ-კვირეულ საფინანსო და საბირჟო ჟურნალ

გამოცემის მე-4 წ. „ბირჟა“-ზე **კვირაობით გ მოდის,**

რომელსაც დამატებად აქვს ცალკე გამოცემა „ბირჟევოი ეჟემესიაჩნიკ“-ი.

ჟურნალი „ბირჟა“ ერთად ერთი ორგანოა, რომელიც ყოველ მხრივ და რაც შეიძლება ზედ-მიწევნით აშუქებს საბირჟო საქმეებს დ ამისათვის **ყველა ფულის პატრონისა, საბირჟო საქმეების კაცისთვის და საკრედიტო დაწესებულებათათვის აუცილებლად საჭიროა.**

ჟურნ. „ბირჟა“-ს პროგრამა:

1. ჩვენი დღიური: ყოველ-დღიური მიმოხილვა, პოლიტიკ. ეკონომ. და საზ. ხასიათისა, რასაც გავლენა აქვს ფულის ბაზარზე, საკრედ. და სავაჭრო-სამრეწვ. დაწესებ. განსაკუთ. სახელმწიფოებრივ ხასიათისა ან აქციები, რომელიც ბირჟაზე ტრიალებს. პეტერბ. მოსკ. პარიზ. ბერლინ. და ლონდონ. ბირჟ. ყოველ-დღიური მდგომარეობა, თან მოკლედ აღინიშნება ის ქაღალდ., რომელთა მოთხოვნილებამაც იმატა. მიზეზია აღნიშვნა. 2. კვირიდან კვირამდე. საფინანსო მიმოხილვა რუსეთისა დ უცხოეთის ფულისა და ფონდის ბაზრისა, სხვა და სხვა სამრეწველოთა ოპერაციები და მათი გაუმჯობესება ტეხნიკური, საალებმიცემო და საბანკო საქმეებში. 3. ჩვენი საბირჟო საქმე. არსებითი ცვლილებანი პეტერბურგისა, მოსკოვისა, ლონდონისა, ბერლინისა და პარიჟის ბირჟათა და აგრეთვე რუსეთის პირველ-ხარისხოვან ბანკების წარმომადგენლების პირად შემადგენლობაში. საბირჟო კომიტეტების განკარგულებანი, რასაც საერთო საიმპერიო მნიშვნელობა აქვს; პეტერბურგისა და მოსკოვის საფონდო ბირჟების საბჭოთა პროექტები. საბირჟო ცხოვრების ოფიციალური ცნობები, რომელიც აწესრიგებს ბირჟის მდგომარეობას, ხასიათსა და მიმართულებას. 4. ჩვენი წინასწარმეტყველებანი. მოკლე აღნუსხვა ცალ-ცალკე მრეწველობათა მახლობელ ხანაში, უწყებულ დროს მათი ღირებულების სიმკვიდრე თუ რყევა ბაზარზე. მათი აწევის, თუ დაცემის მიზეზები; ბირჟაზე მოსალოდნელი გავლენა სხვა და სხვა მოვლენათა. იმის აღნუსხვა, თუ რისი ყიდვა და გასყიდვაა უფრო ხელსაყრელი უწყებულ დროს ბაზარზე.

V **ახალი ამბები:** ოფიციალური ცნობანი: მთავრობის განკარგულებანი და სხვა და სხვა დაწესებულებათაგან მიღებული ზომები ფულის ბაზრისა ფინანსიურ საქმეებისა, ბანკებისა, სააქციონერო და სხვა ფულის საქმეთა მოსაწესრიგებლად, რასაც კი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ბანკების მოქმედების მოკლე მიმოხილვა. ხორბლეულის საქმე. რკინის გზები. ნავთი. ლითონები: თითბერი, ტყვია, პლატინა, თუჯი, რკინა და სხვა. იმის აღნუსხვით, თუ რამდენი რა იშოვება.

VI **მიმოხილვა ბეჭვდითი სიტყვისა:** მოკლე შინაარსი. მოკლედ აღნუსხვა, ან ამონაწერები სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან როგორც რუსეთისა ისე საზღვარგარეთისა, ჩვენის ჟურნალის პროგრამის ფარგლებში.

VII. **მომხდარი საზოგადო კრებანი.** დაწვრილებითი ანგარიშები მომხდარ საზოგადო კრებათა, სააქციონერო დაწყებულებათა, კამათისა და ციფრების აღნუსხვით, საზოგადო კრებათა ოქმები და აქციონერთა კერძო მოსაზრებანი, საზოგადო კრებაზე წარდგენილი.

VIII. **მომავალი საზოგადო კრებანი.** საზოგადო კრებების მოხსენებანი და ყველა. მოსამზადებელი საბუთების ქაღალდები, ბანკებისა და სააქციონერო დაწესებულებათა მოქმედებათა დასურათება, რამდენადაც საზოგადო კრების დედააზრს გამოხატავენ.

IX. **დივიდენდის განყოფილება:** დივიდენდების რაოდენობა და მათი მიცემის დრო: სხვა და სხვა თანხის რაოდენობათა განმარტება სააქციონერო საზოგადოების; დივიდენდისა და სარგებლის განაწილებისა, წესი და ანგარიშების ხასიათი საფინანსო და სამრეწველო დაწესებულებათა, მათის წლიურ ანგარიშითა და ბალანსის მიხედვით, რომელიც საზოგადო კრებას წარედგინება.

X. **ძირითად თანხის გადიდება,** მომავალ ფასიან ქაღალდთა გამოცემა, მათი დანიშნულება და სხვა წვრილმანები.

XI. **იურიდიული განყოფილება.** იურიდიულ ხასიათის რჩევა-დარიგებანი სააქციონერო კანონმდებლობისა საბირჟო შეთანხმებიდან გამომდინარე. ურთ-ერთი დამოკიდებულება ბანკებისა და კლიენტებისა, გამგეობისა და აქციონერთა შორის: კერძო პირთა და დაწესებულებათა უფლების ფარგალი და ხასიათი. სახელმწიფო მნიშვნელობის ბაზარზე გამოსული ღირებულებანი უმთავრესად პეტერბურგისა და პარიზისა. პასუხები მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელნიც „ბირჟა“-ს ხელის მომწერნი არიან,—ცნობათა მიცემა ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებიდან და აგრეთვე გამგეობათა, სხვა და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან, უწყებულ სამრეწველო საქმის ნამდვილ მდგომარეობის გამორკვევა.

XII. **საფოსტო ყუთი.** ანგარიშები საკომერციო და სასამართლოს დადგენილებათა ბანკებისა, ბირჟისა და სააქციონერო საზოგადოებათა საქმეებზე: სენატის აზრი უწყებულ საკითხებზე.

XIII. **ვადა** მომავალ საზოგადო კრებებისა.

XIV. **ახალ წიგნების ცნობანი:** რუსულ, ნემეცურ და ინგლისურ ენებზე ერთ კვირის განმავლობაში გამოსულ წიგნების სია, რომელიც ეხება საფინანსო, სავაჭრო-სამრეწველო და ეკონომიურ საკითხებს. გამოცემათა და ცალკე წერილთა კრიტიკული განხილვა.

XV. **პეტერბურგის ბირჟა.** არსებულ საბუთების მიხედვით, ერთ კვირის განმავლობაში, შედარებითი შეფასება ფასიან ქაღალდებისა, უმაღლეს და უმდაბლეს მაზანდის აღნიშვნით.

XVI. **უცხოეთის ბირჟა.** უცხოეთის ბაზარზე დატრიალებულ რუსეთის ფასიან ქაღალდების ღირებულება, და უცხოეთის ფასიან ქაღალდების ფასი, რომელსაც კი რაიმე კავშირი აქვს რუსეთის ბაზართან; მათი კავშირი რუსეთში არსებულ სამრეწველო დაწესებულებასთან.

საკუთარი კორესპონდენტი გვყავს პარიზსა, ბერლინსა, ლონდონსა, ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ცნობილი სპეციალისტები საბირჟო საფინანსო და საეკონომიო საქმეებისა.

„ფოსტის ყუთში“ ხელის მომწერნი მიიღებენ კითხვის პასუხებს და აგრეთვე ისეთ ცნობებს, რომელთა მიღებაც ხშირად ყოვლად მოუხერხებელია სხვა გზით.

„ბირჟა“ მცოდნე პირთა და ხელისმომწერთა აზრით, საუკეთესო ხელმძღვანელია საბირჟო ოპერაციებში.

ხელის მოწერა მიიღება 1 იანვრიდან. წლიური ხელის მომწერნი, რომელთაც 1912 წ. 31 დეკემბრამდე მთელს ფასს შეიტანენ,—უფასოდ მიიღებენ 1913 წ. დასაწყისში 1913 წ. „ბირჟევოი კალენდარ“-ს, დიდ წიგნად. ხოლო 1913 წ. ხელის მომწერნი ამის გარდა მიიღებენ „ბირჟის“ ნომრებს 1912 წლისას.

ხელის მოწერის ფასი: წლით—12 მ. ½ წლით—7 მან. 4 თვით—4 მ. 1 თვ.—50 კ. ცალკე № 15 კ.

სანიმუშო ნომერი ეგზავნება 10 კ-ად, საკრედიტო დაწესებულებასა და კანტორებს კი უფასოდ.

„ბირჟევოი ეჟემესიაჩნიკ“-ის კომპლექტები 1910 წ.—6 მან. 1911 წ.—5 მ. 1912 წ. 4 მ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: С.-Петербургъ, Мойка № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ავგ. ივ. ზეიდმანი.** 1631.

ამ წლის ათ დეკემბრიდან ქ. ქუთაისში გამოვა ახალი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„მერცხალი“

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მ. 50 კ., თვიურად ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარედ 90 კაპ. ცალკე ნომერის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარ გარედ—14 მან. განცხადება: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **პ. ბაბუნაშვილი.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. **რაჟდენ დიმიტრის ძე მიქაძეს.**

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში ლევან ბუაძესთან დიდუბეში ბათომის ქ. № 2.

რედაქციის ადრესი: პუშკინის ქუჩა **სახ. ჭეიშვილისა, № 12.** ტფილისში ხელის მოწერა, და განცხადებების მიღება შეიძლება ლ. ბუაძესთან, დიდუბე, ბათუმის ქ. 2. 1628

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

მაღაზია ოქროსი, ვერცხლისა, მელხიორისა და ოპტიურ ნივთიერების—საათებისა

ა. ნ. გოლდშტეინისა

გირჩევთ შეიძინოთ მეტის მეტად იაფად ყოველგვარი საათები, ოქროსი, ვერცხლისა და მელხიორის ნივთები. ვისრულებთ საათებისა და ყოველგვარ ოქროს ნივთეულის დამზადება და შეკეთებას, აგრეთვე მონოგრამ. და წარწერების გაკეთებას. 72.

საკრედიტო. მომხმარებელ და სხვა კოოპერატივებში და აგრეთვე: **ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან და წიგნის მაღაზიებში მიიღება 1913 წლის ხელის მოწერა** სახალხო, ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი, საკოოპერაციო, საზოგადო—ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალ

„შრომის კავშირზე“

(წელიწადში გამოვა 16 ოც გვერდიანი ნომერი) და ყოველთვიური საგანგებო საკოოპერაციო და საეკონომიო ჟურნალ „კოოპერაცია“-ზე. „შრომის კავშირი“ ღირს: 1 წლით—9 აბაზი; 6 თვით—90 კ., 1 თვით—15 კ. „კოოპერაცია“ ღირს 1 წლით—6 აბაზი; 6 თვით—60 კ., 1 თვით 10 კ.

ხალხში გასავრცელებლად ერთი ადრესით რამდენიმე ცალის გამოწერით „შრომის კავშირი“ და „კოოპერაცია“ დაეთმობა შემდეგ შეღავათიან ფასებში:

ცალი	„შრომის კავშირი“						„კოოპერაცია“					
	წლით.		½ წლით.		1 თვით.		წლით.		½ წლით.		1 თვით.	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
2	3	50	1	75	—	30	2	10	1	05	—	20
5	8	50	4	25	—	71	5	04	2	52	—	42
10	16	—	8	—	1	34	9	88	4	94	2	47
25	37	50	18	75	3	11	19	26	9	63	1	61
50	70	—	35	—	5	84	37	52	18	76	3	11
100	130	—	65	—	10	84	73	04	36	52	6	09
200	240	—	120	—	20	—	142	08	71	04	11	76

კოოპერატივები გზავნიან ფულს ნაწილ-ნაწილად, ყოველ თვის ბოლოს, ხოლო სხვები წინდაწინვე. **მოვუწოდებთ კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებებს გვაცნობონ ადრესი და შეგვიწყონ ხელი ჟურნალის გავრცელებაში.** განცხადების ფასი: ყდის მეორე და 4-ზე—40 კ. სტრიქონი პეტიტით, ხოლო მესამეზე 20 კ. რედაქტორი **იასონ გაბილაია.** გამომცემელი **მომხმ. საზ. „პროგრესი“**

ადრესი: Гор. Кутаисъ Общество Потребителей „Прогрессъ“. 1640

იმერული შამპანიური

ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა

„კოლხიდა“ და „თამარა“.

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის** ს/ **გასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის სარდაფში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 1660

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აზრაფიანის

საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღალტრიის სახელმძღვანელოსი“. რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობა.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღალტერიისა დ სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, შაქრისა დ ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია დ რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1644. 9)

ექიმი ნ. ტ. მულინი

სნეულებანი ყელისა, ცხვირისა და ყურისა. ავადმყოფთა მიღება შუადღის 12—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. ვერის დაღმართზე. № 3 884

დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი

ვღებულობ საკერავს

ქალებისა და ბავშვების კაბებს.

საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ, ძალიან ნაკლებ ფასად. აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს**, ვასწავლი მორიგების დავვარად.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 23

მივიღეთ საუკეთესო ფერის მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) [illegible],

თევზის მრეწველნი

ძმ. ძაბველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოხმული [illegible]

სელიოტკები

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

შავი ხიზილალა

ახალი ჟურნალი

„წყარო“

1913 წლის, 1 იანვრიდან ქ. ბაქოში გამოვა ქართული ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „წყარო“. პუბლიცისტურ წერილებთან ერთად ჟურნალში სათანადო ადგილი დაეთმობა ბელეტრისტიკას, პოეზიას, კრიტიკას, მკითხველთა წერილებს, კორესპონდენციებს და სხვ. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ქართული მწერლობის საუკეთესო ძალები. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდანვე და ღირება წლიურად—5 მ. ნახევარი წლით 3 მ. ერთი თვით—50 კ. ცალკე ნომერი ყოველგან 10 კ. რედაქციის მისამართი: г. Баку, уголъ Губернской и Спасской № 53 редакція грузинскаго журнала „Цкаро“, тел. 1—30.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Баку. Балаханское шоссе, д. Тер-Акопова № 157 кв. 26 В. Мерабле. ქ. ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება დიდუბეში, ბათუმის ქუჩა № 2. სოსო მელიქიშვილთან და ნაძალადევში, მაგისტრალნი ქუჩა № 33, ვიქტორ მაჭავარიანთან.

1639. რედაქტორ-გამომცემელი **ე. თალაკვაძე.**

კვირას, 23. დეკემბერს, გამოვა ახლად ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი დროება“.

ხელის მოწერის პირობები ტფილისში და ტფილის გარედ; წლიურად—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—60 კ. საზღვარ-გარედ ერთი ორად მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., მეოთხეზე—10 კ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ანდრონიკაშვილი ი., ახნაზაროვი არტემ, ამირაჯიბი გ., ანდრონიკაშვილი კ., გომართელი ი., გოთუა პ., გოგიჩაიშვილი ფ., გულისაშვილი ზ., გვაზავა გ., გუნია ვ., დუმბაძე დ., დავით კესაოლოზი, ევდოშვილი, ვ რთაგავა ივ., იოსელიანი ეგ., კასრაძე ლ., მაღლობლიშვილი ს., მესხი კ., ნატროშვილი ანტ., ოისი რაპველი, ჯანაშვილი მ., ყიფშიძე გრ., თუმანიშვილი კ., შალიკაშვილი ვლ. და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ. „Закавказская Рѣчь“. Телефонъ № 12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.
გამომცემელნი ერ. დ. გორდელაძე
ი. გაჩეჩილაძე.

1651.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. საპოლიტიკო, საზოგადოებრივ და სალიტერატურო, ყოველ დღიურ გაზეთ

„ზაკავკაზსკაია რეჩ“-ზე.

(გამოცემის მეხუთე წელიწადი)

1913 წ. წლიური ხელის მომწერნი, ვინც მთლიანად შემოიტანს გაზეთის ფასს, გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ს დეკემბრის განმავლობაში უფასოდ მიიღებენ.

ხელის მოწერის ფასი.

ქალაქის ხელის მომწერთათვის:

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
მ.	მ. კ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	კ.
6	5 75	5 50	5	4 50	4	3 50	3	2 50	2	1 50	75

ტფილისის გარედ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
მ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	მ.	მ. კ.	მ. კ.	კ.
8	7 50	7	6 50	6	5 50	4 60	3 50	3	2 25	1 50	70

საზღვარ გარედ ერთი-ორად.

ხელის მოწერა მიიღება ქ. ტფილისში, გაზეთის კანტორაში სასახლის ქუჩა, სახლი დ. ზ. სარაჯიშვილისა.

მისამართის გამოსაცვლელი ქალაქიდან ქალაქ გარედ 75 კ., ქალაქ გარეთიდან სხვა ქალაქებს—50 კ., ცალკე ნომერი 5 კ.

განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 15 კ., ტექსტის მერე 10 კ., სანახაობათა განცხადებანი ტექსტის წინ—სტრიქონი 20 კ. კავკასიის გარეთიდან განცხადებები მიიღება მხოლოდ ლ. დ. მეტცლისა და ამხ. სავაჭრო სახლის საშუალებით—უმთავრესი კანტორა მოსკოვში—მიასნიცკის ქ., სახ. სიტინისა და განყოფილებებში: პეტერბურგი—მორსკაია № 11, ვარშავაში—მარშალკოვსკაია № 130, სტრიქ.—24 კ. ტექსტის წინ, ხოლო 12 კ. ტექსტის მერე.

მისამართი: „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის რედაქცია სასახლის ქუჩა სახლი დ. ზ. სარაჯიშვილისა.

დეპეშებისათვის: ტფილისი, „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ი.

რედაქტორი **დ. მ. დუმბაძე** ე. დ. გორდელაძე.

პარიზული მაღაზია

ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

საგანგებოდ **დღესასწაულებისათვის**

განსაკუთრებულის შეკვეთით **დამზადებულია**

საკუთარ სამკერვალოში უკანასკნელი ახალ-ახალი

შეკერილი ტანისამოსი

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეტის-მეტად

ხელმისაწვდომ ფასად.

მაღაზიასთან გვაქვს **სამაგალითო სახელოსნო** შეკვეთის მისაღებად.

ფასები შეუვაჭრებლად.

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

ტელეფონი № 258.

1525

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.